ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 31 მარტი, 2020 №76 (8340) ფასი: 60 თეთრი

სასჯელაღსრულების სისტემის 780 თანამშრომელი ციხეებში იცხოვრებს

ყველა სანოტარო ბიურო იხურება

გვ.5

31 მარტიდან საქართველოში საყოველთაო კარანტინი გამოცხადდა

გვ.2

საღამოს 21 საათიდან დილის 8 საათამდე კომენდანტის საათი ცხადდება

გია ხუხაშვილი: „კორონავირუსი რომ ჩაივლის, ივანიშვილი უნდა დარჩეს იქ, სადაც ახლაა“

„სიკვდილის მიმართ შიში ადამიანებს ხელისუფლებისადმი ლოიალურს ხდის, შიმშილის მიმართ კი – აგრესიულს“

გვ.2

„ოცნების“ რეიტინგმა მოიმატა, მაგრამ ეს დროებითია“

პაატა ზაქარეიშვილი: „გახარია კარგი კრიზისმენეჯერია, მაგრამ ეს არ ნიშნავს მშვიდობიან ცხოვრებაშიც კარგ მენეჯერობას“

გვ.3

გვ.3

„სააკაშვილს სურს, როგორმე აქტუალური იყოს“

რამაზ საყვარელიძე: „მას ყველაფრის უხმაუროდ გაკეთება შეუძლია, მაგრამ მთავარ ყურადღებას პიარს უთმობს“

აფხაზეთის საზოგადოება დადებითად აფასებს გალის რაიონში კომენდანტის საათის შემოღებას

გვ.4

პოლიციამ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 131 ფაქტი გამოავლინა

გვ.5

გვ.5

პოლიცია სამეგრელოში საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში არსებული შეზღუდვების კონტროლს ახორციელებს

ISSN 1987-9385

4 მამუკა გვაძაბია: „აფხაზეთში ჭურში სხედან, მოსახლეობა მიტოვებულია“

5 გურიაში ტოიოტა ოპელს დაეჯახა
22 წლის მამაკაცი დაიღუპა, ოპელი დაიწვა

5 შსს საქართველოს მოქალაქეების მონაცემების პაკერების საიტზე გავრცელებას სწავლობს

6 როგორ შეცვლის კორონავირუსი მსოფლიოს

31 მარტიდან საქართველოში საყოველთაო კარანტინი გამოცხადდა

საღამოს 21 საათიდან დილის 8 საათამდე კომენდანტის საათი ცხადდება

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საყოველთაო კარანტინი ცხადდება. შესაბამისი განცხადება გუშინ, 30 მარტს, პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის ადმინისტრაციაში, ბრიფინგზე გააკეთა.

მისივე განმარტებით, საყოველთაო კარანტინი 31 მარტს, დილის 8 საათიდან დაიწყება, მოქალაქეებს კი ქუჩაში გადაადგილება 21:00 საათიდან აეკრძალებათ.

– კარანტინის ფარგლებში სრულად იკრძალება ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მათ შორის მეტროთი გადაადგილება. დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებით, მათ შორის ტაქსით მგზავრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაცია და ავტომობილში იქნება მხოლოდ 3 ადამიანი, მათ შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2 ადამიანი განთავსდება უკანა სავარძელზე.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომლის არგათვალისწინების შემთხვევაშიც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. ასევე მგზავრთა გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების თანამშრომელთა ორგანიზებული და უსაფრთხო გადაყვანის მიზნით, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისივე თქმით, საქართველოს ქალაქებში საკონტროლო პუნქტები მოეწყობა.

– პირთა გადაადგილების კონტროლის და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის პირველადი შემოწმების მიზნით, საგანგებო მდგომარეობის გამკაცრებული პირობების კონტროლის და ამ პირობების შესრულების მიზნით, ასევე პირველადი თერმოსკრინინგის მიზნით მოეწყობა საკონტროლო პუნქტები შემდეგ ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, ზუგდიდსა და გორში, ამ ქალაქების ადმინისტრაციული საზღვრების კონტროლის მიზნით. ამ ღონისძიებას განახორციელებს შსს-ის ძალები და მასთან ერთად ჩართულნი იქნებიან თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყებები, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

იმ დაწესებულებების თანამშრომლებს, რომლებიც, ფუნქციონირების ხასიათიდან გამომდინარე, 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, სპეციალური საშვით გადაადგილების საშუალება ექნებათ. საშვების გაცემა ამ ადამიანებზე მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეკომენდაციებს დაიცავენ.

– ყველა იმ დაწესებულების თანამშრომლებს, რომლებიც მათი ფუნქციონირების ხასიათიდან და სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე აგრძელებენ მუშაობას 24 საათის განმავლობაში, ექნებათ სპეციალური საშვები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სრულად დაიცავენ დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

მედიის თავისუფლება, ისევე, როგორც სასურსათო მაღაზიების მუშაობა და სხვა ბევრი დაწესებულების მუშაობა, ბანკი იქნება ეს თუ საფთიაქო ქსელი, არის უკიდურესად მნიშვნელოვანი ჩვენი მოქალაქეებისთვის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა არის უპირველესი ღირებულება და როდესაც ჩვენს ჯანმრთელობაზე ვსაუბრობთ, ამ ვირუსის პირობებში არ ვსაუბრობთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენსაზე, ჩვენ უკვე პასუხისმგებლობა გვაქვს იმ ადამიანების წინაშე, რომლებთანაც კომუნიკაციაში შევდივართ.

იქნება სპეციალური საშვები, რომელთა საშუალებითაც მედიასაც ექნება მუშაობის საშუალება, პურის ქარხნებსაც ექნება საშუალება, იმ დისტრიბუციის ქსელებსაც ექნებათ საშუალება, რომლებიც ამარაგებენ სასურსათო მაღაზიებსა და სააფთიაქო ქსელებს, – განაცხადა გახარიამ.

პრემიერმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის ნებისმიერი დახმარებისთვის ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის.

– რა თქმა უნდა, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, ოკუპაციის ხაზის ორივე მხარეს, მიიღებს სრულად იმ მომსახურებას, რომელსაც სახელმწიფო – საქართველო უწევს თავის მოქალაქეებს. ჩვენ ეს გუშინწინაც დავაფიქსირეთ, სწორედ ამიტომ გახლდით რუხში, რომ გვენახა საავადმყოფო და მისი მზაობა, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისივე თქმით, არ აქვს მნიშვნელობა, ენგურის რომელ მხარეს არიან ინფიცირებული ადამიანები.

– ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, ენგურის რომელ მხარეს არიან ინფიცირებული ადამიანები, ეს ჩვენთვის სულ ერთია და, რა თქმა უნდა, იქ, სადაც გვექნება შესაძლებლობა და საშუალება, მივეხმარებით ყველას, როგორც სამედიცინო სერვისებით, ასევე, ყველა იმ საშუალებით, რომელსაც დღეს სახელმწიფო – საქართველო უწევს თავის მოქალაქეებს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მან ეკლესიის შესახებაც ისაუბრა.

– მე ვერ წარმომიდგენია, ისევე, როგორც რიგით ადამიანს, რიგით მოქალაქეს, რიგით მრევლს, რიგით ქრისტიანს, რა შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლეზე უფრო მაღალი ფასეულობა როგორც მთავრობისთვის, ასევე ეკლესიისთვის, – განაცხადა მან.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ როდესაც საკითხი ეხება საქართველოს მოქალაქის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, შესაბამის კომპრომისს ეკლესიასთან ყოველთვის იპოვის.

– ასეთი კომუნიკაცია იყო, ასეთი კომუნიკაცია გაგრძელდება, ასეთი კომუნიკაციის შედეგია, მაგალითად, რომ ბევრმა ეკლესიამ დააწესა სპეციალური წესები. ბევრმა ეკლესიამ მოახერხა და მოახდინა ეკლესიის ეზოების ხმის შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა, რომ მრევლს შეეძლოს, გარეთ იმყოფებოდეს.

ჩვენ ამას გავაგრძელებთ, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, ჩვენი, მთავრობის პასუხისმგებლობა არის ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა. მე ვერ წარმომიდგენია, ისევე, როგორც რიგით ადამიანს, რიგით მოქალაქეს, რიგი მრევლს, რიგით ქრისტიანს, რა შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლეზე უფრო მაღალი ფასეულობა, როგორც მთავრობისთვის, ასევე ეკლესიისთვის, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

გია ხუხაშვილი: „კორონავირუსი რომ ჩაივლის, ივანიშვილი უნდა დარჩეს იქ, სადაც ახლაა“

„სიკვდილის მიმართ შიში ადამიანებს ხელისუფლებისადმი ლოიალურს ხდის, შიმშილის მიმართ კი – აგრესიულს“

იაგო ნაცვლიშვილი



კორონავირუსთან დაკავშირებული საკითხები ხომ არ გადაიზარდა პოლიტიკურ კინკლაობაში, უნდა დადიოდნენ თუ არა კორონავირუსთან ბრძოლის სათავეებთან მყოფი პირები თოქშოუებში და რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების დასაძლევად? – ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შესახებაც პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

– მოვისმინეთ სააკაშვილის შეთავაზება ხელისუფლების მისამართით, რომ დაეხმარება ხელისუფლებას საზღვარგარეთ მყოფი ქართველების ჩამოყვანაში, რაზეც გახარიამ უარით უპასუხა. გვაქვს დღეს ის ფუფუნება, რომ ისევ პოლიტიკურ დისკუსიაში გადავიდეთ?

– რა არის, იცით? ხელისუფლება ამბობს, რომ დახმარება ამ საკითხში არ სჭირდება. მოდით, გავშალოთ ეს თემა – რას გულისხმობს მიხეილ სააკაშვილი და რა ინფორმაციას ფლობს ამასთან დაკავშირებით? ეს არის საინტერესო. თუ საუბარია საქართველოს იმ მოქალაქეების ჩამოყვანაზე, რომლებიც ამ მოვლენების გამო ჩარჩნენ უცხო ქვეყნებში და რომლებმაც შესაბამისად მიმართეს საკონსულოებს და ამაზე ინფორმაცია ვრცელდება, ხოლო ხელისუფლება გვეუბნება, რომ გარკვეული რიგითობით ისინი ამ ადამიანების ჩამოყვანას მოახერხებენ ჩარტერული რეისებით, აქ უნდა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ეს არ არის ის საკითხი, რომელშიც ხელისუფლებას არ სჭირდება დახმარება.

ხოლო თუ სააკაშვილი საუბრობს, ქართული ემიგრაციის საქართველოში გადმოყვანაზე, რიცხვიც დაასახელა, 50.000 ადამიანი. ეს ინიციატივა საერთოდ კითხვის ნიშანს ბადებს ჩემში და აგიხსნით, რატომაც.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ამ დროს, როდესაც ასეთი მწვავე პროცესი მიმდინარეობს, მოვუწოდოთ ემიგრაციას, დაბრუნდეს საქართველოში, ტექნიკურად რომც მოხერხდეს ეს, ისინი კარანტინში ხომ უნდა გავუშვათ, მაშინ როდესაც ამ რესურსებთან დაკავშირებით საკმაოდ დაძაბული ვითარება გვაქვს, როგორც სამედიცინო, ასევე საკარანტინო. ამ ვითარებაში ეს ადეკვატური წინადადებაა? კი, ბატონო, ნორმალურ ვითარებაში მეც მინდა, რომ დაბრუნდნენ ქვეყანაში და ერთად განვავითაროთ ქვეყანა.

– ამას გარდა ისიც არის, რას ვთავაზობთ შემდეგ, როცა წინ გველოდება ეკონომიკურად რთული პროცესები. ამაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ?

– ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ამაზე ეკონომიკურად რთულ პროცესებზე და ა. შ. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მას შემდეგ, რაც კორონავირუსი გადაივლის და ქვეყანა დაუბრუნდება ნორმალური განვითარების გზას. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მოვუწოდოთ, რომ ჩამოვიდნენ საქართველოში იმისთვის, რომ ყველამ ერთად ავაშენოთ იმ ტიპის საქართველო, რომელშიც დაცული იქნება უსაფრთხოება. არა მხოლოდ კორონავირუსი, არამედ ეკონომიკური უსაფრთხოება და ქვეყანა იქნება თვითკმარი და ძლიერი.

ამ ბუნდოვან სიტუაციაში ემიგრანტებზე ლაპარაკი არის სრული უგუნურება, შიშველი პოპულიზმი და მეტი არაფერი.

– ეკონომიკურ გამოწვევებზე საუბრის განხილვა ახლა არასწორად მიგაჩნიათ?

– ეკონომიკურ გამოწვევებზე საუბარი უნდა იყოს და მე ვსაუბრობ კიდეც ამაზე, მაგრამ ჯერჯერობით ეკონომიკა დაპაუზებულია. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ გეგმებზე, რას გავაკეთებთ მას შემდეგ, რაც ქვეყანას მიეცემა შესაძლებლობა, დაქოქოს ეკონომიკა.

– დაინახეთ ხელისუფლების რაიმე გეგმა ამ მიმართულებით?

– არ დამინახავს და ამაზე ვსაუბრობ. ხელისუფლებას მივმართე კიდეც, რომ მათ უნდა ესმოდეთ ის, რომ სიკვდილის მიმართ შიში ადამიანებს ლოიალურს ხდის და დღეს ამას ვუყურებთ, რომ ხელისუფლებისადმი ლოიალობა მაღალია და ეს კარგია. ამ ვითარებაში ასეა საჭირო. მაგრამ შიმშილის მიმართ შიში ადამიანებს აგრესიულს ხდის. ეს აგრესია ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული. შესაბამისად, ხელისუფლებამ უნდა იფიქროს გეგმებზე. უნდა იფიქროს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიანზე. მოკლევადიანი არის ძირითადად სოციალური პაკეტი, იმიტომ, რომ სერიოზული სოციალური რისკები გაჩნდა ამ პერიოდში და უკვე დღესაა ამ სოციალური პაკეტების განხორციელება საჭირო.

რაც შეეხება გრძელვადიან გეგმებს, პოსტკრიზისული დეპრესია როგორ დავამარცხოთ და როგორ მოვახერხოთ ეკონომიკის მოდერნიზება ისე, რომ თვითკმარი ქვეყანა გავხდეთ ნორმალური ეკონომიკით, ეს ცალკე დასაგეგმია და სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა იყოს, რასაც ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

– ეს პროცესი პოლიტიკურ კინკლაობაში გადავიდა. იქ ოპოზიცია ცდილობს გარკვეული ქულების დაწერას, ხელისუფლება თავის სარგებელს ეძებს, ისევ გამოჩნდა ტროლები... ამ პროცესს როგორ აფასებთ?

– ამას ვაფასებ მკვეთრად ნეგატიურად. ჩვენ უნდა გვესმოდეს მარტივი რამე, ყველას საერთო მტერი გვყავს. პარტიული შეხედულებების მიუხედავად, სოციალური სოლიდარობა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ საერთო მტერი დავამარცხოთ. ვხედავ ასეთ ადამიანებს, რომლებიც კორონავირუსის პრობლემას განიხილავენ ნაციონალური მოძრაობის და „ქართული ოცნების“ დაპირისპირების პრიზმაში.

ეს ხალხი აბსოლუტურად არაადეკვატურია, ვერ იაზრებენ, რასთან გვაქვს საქმე და ჩარჩენილები არიან ამ შუღლში. რეალურ სიტუაციას ვერ აფასებენ და აღარც კი ვიცი, ამ ადამიანებს რა უნდა ვუწოდო, მათ აშკარად ფსიქიკა აქვთ დარღვეული. უკვე სხვა სპეციალობის კომპეტენციაა ეს.

დღეს შიდა პოლიტიკა ყველამ უნდა დავაპაუზოთ. ხელისუფლებამაც უნდა მიიღოს გარკვეული ზომები. მე ვიტყოდი, რომ საინფორმაციო უსაფრთხოების კუთხით. დღეს ფაქტობრივად ვხედავთ პოლემიკას ვირუსოლოგებსა და პოლიტიკოსებს შორის, რაც სრული აბსურდია. ის ადამიანები, ვინც მაღალი ნდობით სარგებლობენ, ამ ყველაფრისგან უნდა დავიცვათ. ეს უნდა გავითვალისწინოთ ყველამ, მათ შორის, ჟურნალისტებმაც. არაფერი არ ესაქმებათ ამ ხალხს თოქშოუებში და ძალიან მიკვირს, როგორ ხვდებიან ისინი თოქშოუებში. მათი ფუნქცია არის პრობლემის მიხედვა. კი ბატონო, ინფორმაციების მოწოდებაც, მაგრამ ეს ხდება ბრიფინგების სახით. ასევე შესაბამისი რეკომენდაციების/რჩევების მოცემა. ეს არის მათი ფუნქცია.

კი ბატონო, შეიძლება ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდეს და ლეგიტიმური იყოს ეს კითხვები, მაგრამ ამ კითხვების გაცემის დრო დადგება მას შემდეგ, რაც პრობლემას ყველა ერთად გადავხედავთ.

– გამყრელიძის ინტერვიუ გაქვთ მხედველობაში?

– არა მხოლოდ. გამყრელიძე, იმნაძე... ეს ადამიანები თოქშოუებში არ უნდა სხდებოდნენ და კითხვა-პასუხის რეჟიმში არ უნდა საუბრობდნენ. ისინი სარგებლობენ მაღალი ნდობით და ადამიანები მათგან ელოდებიან რეკომენდაციებს და არა იმას, ვის რა უნდა ეყიდა, როგორ უნდა ყოფილიყო და ა. შ. ამათ კომპეტენციაში ეს სულ არ არის. შესაბამისად, ხელისუფლებამ წესრიგი უნდა დაამყაროს.

პირველი, ამ ადამიანებს უნდა აეკრძალოთ თოქშოუებში სიარული, თუ ამას თვითონ ვერ ხვდებიან, ეს უნდა მოხდეს და უნდა მოწესრიგდეს საერთოდ კორონავირუსთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა.

ჟურნალისტებსაც მეტი პასუხისმგებლობა მართებთ ამ კუთხით. ეს ადამიანები არ უნდა აწვალონ ათასნაირი კითხვებით, სწრაფი ტესტები და ა. შ. კი ბატონო, ეს კითხვები ლეგიტიმურია, მაგრამ დღეს ამის გარჩევის დრო არ არის. კი ბატონო, დადგება დრო, როდესაც ყველას მოეკითხება, ვისაც მოსაკითხი აქვს, მაგრამ დღეს ჩვენ ხელისუფლებასთან პრეტენზიები არ გვაქვს და ვცდილობთ, რომ მხარი დავუჭიროთ, გახარია იქნება თუ სხვა. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებთ, რომ დაგვავიწყდა მათი ძველი ცოდვები, ან მომავალში თუ ჩაიდენენ, საერთოდ არ დავსვამთ. არც ძველი დაგვიწყებია და ახლებიც გაჩნდება, მაგრამ დღეს ამ პრიზმაში საკითხების განხილვა მხოლოდ დამაზიანებელია.

ინფორმაციული სანიტარია არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთრივ კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული სანიტარია. ხელების დაბანაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ მივიღოთ ან არასწორი ინფორმაცია, ან ჰიპერინფორმაცია, ან პოლიტიზირება მოხდეს და ა. შ. საინფორმაციო სანიტარიის გარეშე ჩვენ შეიძლება მივიღოთ იმ ტიპის სოციალური რყევები, რომლის შედეგები არანაკლებ დამაზიანებელი იქნება, ვიდრე საკუთრივ კორონავირუსი.

– გარკვეულმა პოლიტიკოსებმაც გამართეს ბრიფინგები, იგივე სწრაფ ტესტებთან დაკავშირებით, ეს ხომ არ აზიანებს პროცესს?

– აზიანებს, რა თქმა უნდა. მათ შეუძლიათ ეს კითხვები დასვან, მაგრამ არანაირი ვალდებულება არ აქვთ იმნაძეს ან გამყრელიძეს, რომ პასუხები გასცენ. ვირუსოლოგებს რა კავშირი აქვთ კონტრაქტებთან და შესყიდვებთან, რა ამათი საქმეა ეს?! ამაზე უპასუხოს შესაბამისმა სამეურნეო რგოლმა – ჯანდაცვის სამინისტრომ. ან საერთოდ არ უპასუხოს. მესმის, რომ ეს კითხვები არსებობს, მაგრამ ამაზე პოლემიკა დღეს მხოლოდ დამაზიანებელია. კი ბატონო, რომ ჩაივლის ყველაფერი, შემოდგომაზე შეგვიძლია დავთვალოთ წიწილები, მაგრამ შემოდგომამდე ხომ უნდა მივიდეთ?!

– სად არის ბიძინა ივანიშვილი, თქვენ როგორ ფიქრობთ?

– არ ვიცი. რამდენიმე წლის წინ რომ გეკითხათ, გეტყოდით, მაგრამ ახლა ნამდვილად არ ვიცი.

– ამ ვითარებაში, როდესაც პრეტენზია

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნების“ რეიტინგმა მოიმატა, მაგრამ ეს დროებითია“

პაატა ზაქარეიშვილი: „გახარია კარგი კრიზისმენეჯერია, მაგრამ ეს არ ნიშნავს მშვიდობიან ცხოვრებაშიც კარგ მენეჯერობას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს

– ბატონო პაატა, აფხაზეთის რეგიონიდან დაავადებული პაციენტების მისაღებად მზად არის ჩვენი ხელისუფლება. რა ხდება საზღვარზე, რა ვითარებაა ამჟამად?

– აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებამ ჩაკეტა ორივე საზღვარი, რაც მას გააჩნია. ეს არის საქართველო-რუსეთის საზღვარი ფსოუზე, რომელსაც აკონტროლებენ რუსეთი და აფხაზური მხარე და ჩაკეტა საზღვარი ენგურზეც, რომელსაც ერთი მხრიდან აფხაზურ-რუსული მხარე აკონტროლებს, ხოლო მეორე მხრიდან – ქართული მხარე.

აფხაზები საზღვრებს აკონტროლებენ მკაცრად. ენგურზე გადასვლა-გადმოსვლა მოხდება მხოლოდ აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლების ნებართვით. ამიტომ ეს ძალიან პრინციპული მნიშვნელობისაა. მთელ აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, ხოლო გალში – კომენდანტის საათი. ანუ ღამე არავინ არ უნდა იაროს.

– გამოითქვა აზრი, რომ შესაძლოა ენგურზე უკონტროლო მიმოსვლა იყოს, ასე არ იქნება?

– უკონტროლო სიტუაცია რომ არ იყოს, სწორედ ამიტომ დააწესეს კომენდანტის საათი. როდესაც გალში ადამიანი ხეტიალობს, ვერ გაარკვევ, ის ახლახან გადმოვიდა ენგურზე თუ უბრალოდ დასეირნობს. როდესაც აკრძალული იქნება, შედარებით ადვილი იქნება, გააკონტროლო, ადამიანი გადმოვიდა თუ არა ენგურზე ღამით.

ავადმყოფის გადმოყვანის ჯერჯერობით მხოლოდ ერთი შემთხვევა მოხდა. გალიდან გადმოიყვანეს ქალბატონი ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოში. ეს ბუნებრივიც იყო, გალელები ისეთი ინტეგრირებულები არიან და მუდმივად მოძრაობენ ქართულ მხარეს და ეს ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა აქაც მოხდა ოფიციალურად გადმოყვანა.

– საუბარია, რომ აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემა ჩამოშლილია, ამ სიტუაციაში ჩვენი ჯანდაცვა იქცევა თუ არა მათთვის მაშველ რგოლად? უნდა მივიღოთ ჩვენ ავადმყოფები?

– აუცილებლად უნდა მივიღოთ. როცა ვამბობთ, რომ ჩვენი ტერიტორიაა, როცა ვამბობთ ტერიტორიულ მთლიანობას, ეს მარტო ლამაზი სიტყვებია?! ჩვენ ენგურჰესისთ დენს ვაწვდით წლების განმავლობაში, მილიონებს ვიხდით, რათა აფხაზებს ჰქონდეთ დენი, ჯანდაცვაში ვეხმარებით.

გარდა ამ კორონავირუსისა, უამრავი ადამიანი გადმოდიოდა აქ სამკურნალოდ. ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან. ეს ჩვენი აუცილებელი ვალდებულებაა, რომ თუ იქ იფეთქა ვირუსმა და ისინი თანახმანი არიან საქართველოსგან მიიღონ მხარდაჭერა, ჩვენ ვალდებული ვართ, ეს განვახორციელოთ.

– სრულიად ახალი ტექნიკით აღიჭურვა რუხის საავადმყოფო. ანუ ქართული მხარე სრულ მზაობას აცხადებს?

– დიახ და ასეც უნდა იყოს. ეს ჩვენი ვალდებულებაა. აფხაზებიც ჩვენი მოქალაქეები არიან. მე მათ პრინციპულად არ ვასხვავებ. არც მაშინ ვასხვავებდი, ტყვეთა გაცვლაზე რომ ვმუშაობდი და ახლა როგორ განვასხვავო. აფხაზია თუ ქართველია, ჩვენი მოქალაქეები არიან ისინი. როგორც სამეგრელოში, კახეთში თუ სხვა რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეებს ვმკურნალობთ, ისე უნდა ვუმკურნალოთ აფხაზებსაც.

– ბატონო პაატა, რამდენად დაათბობს ეს სიტუაცია ურთიერთობებს?

– ქართული პოლიტიკური ელიტა გაუცხოებულია აფხაზეთთან პოლიტიკურ დიალოგზე და დღემდე ჯიუტად განაგრძობს ლაპარაკს, რომ მოვაგვაროთ მხოლოდ ჰუმანიტარული საკითხები, ეს არ ეხება პოლიტიკას. ეს არის ძალიან დიდი სიბეცე და ვირის სიბრმავე. როცა ბუანიამ თქვა, რომ ჩვენ საქართველოსთან უნდა გვქონდეს კარგი ურთიერთობები, მას უპასუხა ვინ?!

– ვინ უპასუხა?

– უპასუხა უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელმა და თქვა, რომ მაგისთვის ჩვენ გვაქვს ჟენევა და იქ გველაპარაკოსო. ანუ სასაცილოდ აიგდეს ეს თემა. დღეს აფხაზური მხარე უფრო მზად არის, რომ პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ქართულ მხარესთან, ვიდრე ქართული მხარეა მზად.

რაღაც არასრულყოფილების კომპლექსები გვაქვს, რომ თუ ჩვენ დაველაპარაკებით იქაურ პოლიტიკურ ელიტას, ამით ჩვენ მათ ვაღიარებთ, რაც არის ზღაპარი და დიდი აბსურდი. ეს არის კონფლიქტის მხარე და საჭიროა, რომ მასთან მოაგვარო კონფლიქტი. კონსტიტუციაში პირდაპირ გიწერია, რომ საქართველოს ტერიტორია არის განუყოფელი და მორჩა! ამიტომ არანაირი ყინული არ დაიძვრება, ვიდრე ყინული არ დაიძვრება ქართულ თავებში და ვიდრე ყინული არ დაიძვრება თბილისში.

– რა ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუ არიან დაავადებულები და როგორ მიმდინარეობს პროცესი?

– ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევები ამ დროის მონაცემებით არ არის. რუსეთმა აფხაზურ მხარეს გადასცა გარკვეული რაოდენობის ტესტები, აქვთ სამედიცინო აღჭურვილობა, თითქოს მათ აქვთ პირველადი საშუალება შეამოწმონ, ჰყავთ თუ არა კორონავირუსით დაინფიცირებულები. აი, მერე რა ხდება, ის არ იციან, როგორ უნდა უმკურნალონ.

– მათ საავადმყოფოებში რა ხდება, შეძლებენ პაციენტების მიღებას?

– მათ აქვთ ორი საავადმყოფო, ერთი არის სოხუმის ინფექციური საავადმყოფო და მეორე – სარეზერვო საავადმყოფო, გუდაუთის საავადმყოფო. ორივე საავადმყოფო მზადყოფნაშია. გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, აკრძალულია თავშეყრის ადგილები, გადაიდო ქორწილები, სრული მობილიზაცია, ისევე, როგორც

ჩვენთან, თუმცა მათ ცოტა დააგვიანდათ.

– რა დაგვიანდათ, შეზღუდვების დაწესება?

– დიახ, რადგან არჩევნების დღე იყო შემაშფოთებელი. იმიტომ, რომ არჩევნების დღეს იყო სრული უკონტროლობა. დიდი ხნის უნახავი ადამიანები ერთმანეთს კავკასიური წესით კოცნიდნენ, ეხუტებოდნენ, დიდხანს ლაპარაკობდნენ...

თვითონ ელოდებიან, რომ ამ 2-3 დღეში გამოჩნდეს პირველი ნიშნები. თუ ამას გადაურჩნენ, მაშინ აფხაზეთის ტერიტორიაზე ვირუსი აღარ იფეთქებს. ეს უახლესი ერთი კვირა იქნება კრიტიკული აფხაზეთისთვის.

– ბატონო პაატა, რას იტყვით დანარჩენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობაზე? საგანგებო მდგომარეობა იყო მთელ ტერიტორიაზე, რომელიც სრულმა კარანტინმა შეცვალა. ასევე დაწესდა კომენდანტის საათი საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე. რამდენად ავირიდებთ თავიდან გართულებებს და როგორ მუშაობს ხელისუფლება?

– ფანტასტიკურად. განსაკუთრებით კი მედიკოსების ქმედებებით ვარ აღტაცებული. ხელისუფლების ქმედებები მომწონს იმიტომ, რომ უსმენს მედიკოსებს.

პირველად „ქართული ოცნების“ ისტორიაში ვხედავთ, რომ აშკარად შეშინდნენ და ისწავლეს სხვისი მოსმენა. ეს ექიმები იყვნენ ყველა მთავრობის დროს. დაწყებული კომუნისტების დროიდან, მოდიან და მოდიან და ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მათი თავი. არ არიან ახალგაზრდები და ვხედავთ, როგორ ეფექტურად მუშაობენ. ჩვენ უნდა შევუქოთ ხელისუფლებას ეს ნაბიჯები, რომ არ ჯიუტობენ და მიჰყვებიან პროფესიონალების რჩევებს. სწორედ ამიტომ გამოირჩევა საქართველო სტაბილურობით. რაოდენობა თვლადია და თითქმის ყოველ შემთხვევაში ვიცით პაციენტის ისტორია.

ხელისუფლებას კი, რომ იტყვიან, მართლაც ტუზი დაეცა ამ კორონავირუსით. უცებ გამოასწორეს მდგომარეობა და პოლიტიკურად წელში გაიმართნენ. ოღონდ დროებით.

– რატომ დროებით? კეთდება შეფასებები, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ ჩამოირეცხა ცოდვები.

– ეკონომიკური კრიზისი რომ გვიახლოვდება?! ჩვენ არ ვართ ძლიერი სახელმწიფო ეკონომიკურად. მოდის არჩევნები. არჩევნების წინ, ხალხი როდესაც ქუჩაში გამოვა, დაუბრუნდება ჩვეულებრივ ყოფას, მე არ დავეყრდნობი სტატისტიკურ მონაცემებს და ჩემს აზრს ვიტყვი.

დღეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 70% ყოველდღიური შემოსავლით ცხოვრობს, ანუ მას არა აქვს დანაზოგები. რაც ჰქონდა, რაღაც მიზერი, ისიც ახლა ეხარჯება. სახელმწიფო ვერ შეძლებს ამ ხალხის დაკმაყოფილებას არჩევნებამდე, ამიტომ საჭირო იქნება ძალიან სერიოზული ეკონომიკური პროგრამის შექმნა, რათა ხალხს შეუქმნან განწყობა, რომ სახელმწიფო მათზე ზრუნავს. რამდენადაც პროფესიონალი ექიმები გვყავს, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ასეთივე მაღალი დონის ეკონომისტები გვყავს.

მე პატივს ვცემ გახარიას. აღმოჩნდა, რომ გახარია არის ძალიან ეფექტური კრიზისმენეჯერი. ეს ადრეც მითქვამს. როდესაც იქმნება კრიზისი, გახარია აშკარად წარმატებულად ართმევს თავს, მაგრამ კრიზისის მენეჯერობა არ ნიშნავს მშვიდობიან ცხოვრებაში კარგ მენეჯერობას. ომის გენერალი არ არის კარგი პოლიტიკოსი. ასე რომ, ომში წარმატება არ ნიშნავს მშვიდობაში წარმატებას.

ჩაივლის ეს კორონავირუსი, ხალხიც კმაყოფილი იქნება როგორც ექიმების, ისე მთავრობის, მაგრამ მერე სიღარიბე წამოვა. ეს იქნება მეორე ტალღა. ეს ცუნამივითაა, ჯერ მიწისძვრა რომ არის და მერე ცუნამის ტალღა მოდის. ეს ცუნამი კი იქნება ეკონომიკური სიდუხჭირე, სიღარიბე და უმუშევრობა. ამას კი ვერ განსაზღვრავ ისე, როგორც კორონა ვირუსს. უკვე შეიძლება იმის განსაზღვრა, თუ როგორ დინამიკაში მოქმედებს ეს ავადმყოფობა, მაგრამ ამ ეკონომიკურ ცუნამის ვერ გათვლი.

– რამდენად გაუმკლავდება ხელისუფლება ეკონომიკურ ცუნამის?

– ეჭვი მეპარება, რომ გაუმკლავდეს. მათ რომ რაღაც ეკონომიკური პროგრამები ჰქონოდათ, უკვე რვა წელია ხელისუფლებაში არიან და ამას აქამდე აამუშავებდნენ.

რა გააკეთეს ეკონომიკის მიმართულებით?! კი ბატონო, გზების მშენებლობა კარგია, მაგრამ გზებს აშენებდნენ სააკაშვილიც, ბერიაც და ჰიტლერიც. ინფრასტრუქტურა არ არის დემოკრატია და არ არის ეკონომიკა. ეკონომიკას უკვე თავად უნდა მიხედონ, აქ ექიმები ვეღარ დაეხმარებიან.

ვნახოთ აბა, რას შემოგვთავაზებენ და შეძლებენ თუ არა ამ რეიტინგის შენარჩუნებას. რაშიც მე ეჭვი მეპარება.

„სააკაშვილს სურს, როგორმე აქტუალური იყოს“

რამაზ საყვარელიძე: „მას ყველაფრის უხმაუროდ გაკეთება შეუძლია, მაგრამ მთავარ ყურადღებას პიარს უთმობს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, კომენდანტის საათი დაწესდა. ხელისუფლება როგორ ართმევს თავს გამოწვევებს?

– მოსახლეობაში დადებითი განწყობა არის და ეს იგრძნობა სოციალურ ქსელებში. ევროპის, ამერიკის ფონზე, საბედნიეროდ, საქართველომ მოახერხა და შეინარჩუნა ეს მაჩვენებლები, რაც მისასალმებელია. ამ სურათის ბოლომდე შენარჩუნება რომ შევძლოთ პანდემიასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გამკაცრდეს ზომები და სწორედ ამის მოწმენი ვართ მთავრობის მხრიდან.

ხელისუფლება დღეს ეძებს ოქროს შუალედს, რადგან ეს ყველაფერი ეკონომიკაზეა მიბმული. არც პანდემიის სურათი უნდა დამძიმდეს და არც – ეკონომიკის, აქ ოქროს სტანდარტის პოვნა ძალიან რთულია.

– შემოდგომით ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია, რა კორექტივებს შეიტანს ეს ყველაფერი, არჩევნების შედეგებზე რა გავლენას იქონიებს?

– ამ ვითარებამ დაგვანახა, რომ პოლიტიკაზე უფრო მნიშვნელოვანი რამეც არსებობს თურმე. ამ ფონზე ბევრად უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ მთავარი არის ადამიანი.

ალბათ ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ დამთავრდება ეს პროცესი. ჯერ მხოლოდ პროცესის შუაში ვართ. ვნახოთ, რა განვითარება იქნება და როგორ მოხდება ამ ყველაფრის დალაგება.

ეს ბოლო დღეები აშკარაა, რომ პოლიტიკური პროცესი განახლდა.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ უკვე აშკარად იგრძნობა გარკვეული პოლიტიკური პარტიების მხრიდან პოლიტიკური თამაშები, მაგრამ მთლად ბოლომდე არ მესმის ამ პოლიტიკური თამაშების მიზანშეწონილობა სწორედ დღეს. რა მიზანს ისახავენ ისინი? ყველა პარტიას ეს არ ეკუთვნის, მათ დიდ უმრავლესობას, როგორც ვიცი, ან შეჩერებული აქვს პარტიული აქტივობა, ან სრულიად უხმაუროდ ცდილობენ, ადამიანებს დაეხმარონ.

მე ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას და მიხეილ სააკაშვილს. როგორც ყოველთვის, დღესაც სააკაშვილს სურს, როგორმე იყოს აქტუალური. რომ ის არ დაავიწყდეთ. ასევე, სწრაფ ტესტირებაზე ასეთი აქცენტის გაკეთება არის იმის მცდელობა, რომ ეჭვი შეიტანონ ადამიანებმა, რომ რაღაცა ისე არ კეთდება და რაღაცას აკლებს ხელისუფლება ადამიანებს.

ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ პერიოდში ხელისუფლებამ საზოგადოებაში ნდობა მოიპოვა. ოპოზიციის ამ ნაწილმა დაისახა ამოცანად, რომ ადამიანების ეს ნდობა როგორმე გააქარწყლოს. თუ ვერ გააქარწყლებს, ამ მოპოვებულ ნდობაში ბზარი შეიტანოს მაინც.

სტრატეგიულად სწორია, რომ დახმარების სურვილი გამოთქვა, რადგან საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე დღეს დახმარებას ითხოვს, ვინც არ უნდა იყოს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ყალბი დახმარების მოწმენი გავხდით. დახმარება მიმართული იყო ადამიანების დასაცავად და ლამის უკუშედეგი გამოიწვია ამ დახმარებამ.

თუნდაც სააკაშვილის სურვილი, რომ ემიგრანტებს დაეხმაროს სამშობლოში დაბრუნებაში, განპირობებულია ამ კრიზისულ ვითარებაში ნიშის პოვნის დიდი სურვილით, რომ მე კვლავ აქტუალური ვარ და არა – გულწრფელი სურვილით. სრულიად უხმაუროდ, პოლიტიკური ვნებებისგან დაცლილად შეეძლო ეს მას გაეკეთებინა, როგორც ყოფილ პრეზიდენტს, მაგრამ არა, მან აქ კვლავ დაპირისპირება, კვლავ პოლიტიკის კეთების სურვილი ჩადო.

ერთი სიტყვით, სააკაშვილს პიარის გარეშე არაფრის კეთება არ შეუძლია. ამიტომ მიეცა ამ ყველაფერს პოლიტიკური სიმძაფრე.

– თქვენ თქვით, ვიცი ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ადამიანებს ჩუმად ეხმარებიანო.

– დიახ, ვიცი და არიან ასეთები, ჩვენდა საბედნიეროდ. ამ პროცესში დახმარებაა სწორი, საქმეზე მიმართული შენიშვნაც, რომელიც შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს იმ წუთში და გაითვალისწინოს კიდეც ხელისუფლებამ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თუნდაც, ასეთი განწყობა, რომ ახლა მთავარია ადამიანების შველა და თავი დავანებოთ პოპულიზმს, პოლიტიკური ქულების ჩაწერას – ესეც ძალიან მნიშვნელოვანია.

– იყო ასეთი პოზიცია ოპოზიციის მხრიდან?

– იყო. ასეთი პოზიცია „ევროპულ საქართველოს“ ბოკერიას ჰქონდა და ეს მისასალმებელია. სხვებიც იყვნენ და ეს აღნიშვნის ღირსია.

გია ხუხაშვილი: „კორონავირუსი რომ ჩაივლის, ივანიშვილი უნდა დარჩეს იქ, სადაც ახლაა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

აქვს, რომ გადაჭარბებული ნდობა აქვს, არ ჰქონდა ვალდებულება, რომ ან განცხადება გაევრცელებინა, ან ვიდეომიმართვა და დაემშვიდებინა მოქალაქეები?

– რა არის, იცით? ყველა ადამიანი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას. მე ვფიქრობ, რომ კარგიც არის, ის რომ არ ჩნდება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ხელისუფლება ხელისუფლებას დაემსგავსა, ანუ ინსტიტუციური წესრიგი აღდგა ქვეყანაში. თუ ადრე პრემიერ-მინისტრის კომპეტენციაში, გადაწყვეტილებების უნარებში და ა.შ. ეჭვი გვეპარებოდა, როგორც კი გვერდზე გაიწია ის, ეს მოუხდა ქვეყანას.

– ასე გგონიათ, რომ გვერდზე გაიწია და რჩევებს აღარ აძლევს მთავრობას?

– მე ასეთი განცდა მრჩება. სულაც არ მგონია საჭიროდ, რომ ის უნდა გამოჩნდეს. იმუშაოს მთავრობამ. ინსტიტუციური წესრიგი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა იყო ამ ქვეყანაში. თუ ის გვერდზე გაწეულია და მთავრობას მუშაობის საშუალებას აძლევს, ამაში კარგის მეტი არაფერია.

– მაშინ ხომ არ სჯობს, რომ საერთოდ გაიწიოს?

– კი, ნამდვილად სჯობს და კორონავირუსი რომ ჩაივლის, იქვე დარჩეს, სადაც დღეს არის. ასე სჯობს სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის.

მამუკა გვაძაბია: „აფხაზეთში ჭურში სხედან, მოსახლეობა მიტოვებულია“

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი ეროვნების ადამიანის მდგომარეობა მაღელვებს

გულიკობალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი **მამუკა გვაძაბია** პასუხობს.

– ბატონო მამუკა, სახლში იმყოფებით, კორონავირუსმა ცოტა ხომ არ შეგაშინათ.

– სახლში ვარ, ვიცავ საგანგებო მდგომარეობის პირობებს და შტაბის მითითებებს. ოპოზიციაში ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ოპოზიციაში არ ვარ.

– დღეისათვის ჩემი ინტერესის საგანი ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული მდგომარეობაა. ახლახან ე.წ. არჩევნები იყო და ე.წ. პრეზიდენტად ოპოზიციის წარმომადგენელი ბჟანია აირჩიეს. ის თავის განცხადებებში, რომელიც ეხება ქართველებთან დიალოგის საჭიროებას, ყოველთვის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოგვიწოდებს. საინტერესოა, ახლა რა ხდება აფხაზეთში?

– ე.წ. პრეზიდენტის მოსალოდნელ არჩევნებთან დაკავშირებით რა ანალიზიც გავაკეთეთ, თითქმის დადასტურდა. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ გამარჯვებული ბჟანია იქნებოდა. რაიმე სერიოზული, განსაცვიფრებელი მოულოდნელობა არ ყოფილა. უბრალოდ, ადამიანის აზროვნების ლოგიკიდან გამომდინარე, როცა მსოფლიო პანდემიაა და ამ დროს ადამიანები იკრიბებიან, თუნდაც პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით, ეს ცოტა ლოგიკურად ვერ აღვიქვი.

ის მაინც ხომ უნდა იცოდე, რომ პანდემიის რეჟიმიდან გამომდინარე, ადამიანების შეკრება ნებისმიერი მოსაზრებით მიუღებელია. მით უმეტეს, ხვდები, ვირუსი როგორ ვრცელდება.

კაცობრიობის ისტორიაში ბევრი ტერიტორია ყოფილა ოკუპირებული. ზოგი ტერიტორია ლეგიტიმურად იყო ოკუპირებული, ზოგი კი – არაკანონიერად. მაგალითად, გერმანიის ოკუპაცია მოკავშირეების მიერ იყო ლეგიტიმური ოკუპაცია, მაგრამ არის ოკუპაცია, რომელიც არის არალეგიტიმური, არაკანონიერი, როგორადაც რუსეთი ახდენს ოკუპაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოდითგანვე ხდებოდა, ის ხდება ახლაც. რეალურად, არა მარტო ტერიტორიის, არამედ ადამიანის გონების ოკუპაციაც ხდება იმპერიის ცენტრის პროპაგანდისტული მანქანის მიერ. ამის გამოვლინებაა, რაც ხდება ახლა, მათ შორის, კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

– ამ შემთხვევაში რას გულისხმობთ?

– ამ შემთხვევაში მოსახლეობის არაინფორმირებას ვგულისხმობ. თუ ჩვენი მოსახლეება ინფორმირებულია, ყველა უწყება, პოლიტიკური ისტებლიშმენტი თუ ოპოზიცია, ყოვეთვის თავისი მიმართულებით მუშაობს და მოსახლეობა ინფორმირებულია. არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ აფხაზეთში ჭურში სხედან. თურმე ნიორს თუ განათავსებ ოთახში, კორონავირუსს დაამარცხებს.

იმპერიას არ აწყობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობა. იმპერიის ცენტრის პოლიტიკა ყველაგან ასეთია. ყველაზე ბნელი იმპერია რუსეთია. ეს ჩემი მოგონილი არ არის.

– რუსეთში კორონავირუსთან დაკავშირებით ისეთი მონაცემები ქვეყნდება, თითქოს ძალიან ცოტაა ინფიცირებული და გარდაცვლილი. ეჭვიც არსებობს, რომ მონაცემებს მალავენ. ამ მიდგომიდან გამომდინარე, რუსეთმა ფსოუს საზღვარი ახლახან ჩაკეტა. აქამდე საზღვარი ღია იყო და აფხაზეთში რუსეთიდან თავისუფლად მოძრაობდნენ.

– ფსოუს საზღვრის ჩაკეტვაც პირობითია, ბოლომდე არ იქნება ჩაკეტილი, მაგრამ მეტ-ნაკლებად საზღვარზე კონტროლი იქნება. მე უფრო იქ მცხოვრები ადამიანების მდგომარეობა მაღელვებს. ყოველგვარი პათეტიკისა და სარკაზმის გარეშე ვამბობ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი ეროვნების ადამიანის მდგომარეობა მაღელვებს.

განსაკუთრებით მაინტერესებს ქართველური მოსახლეობის მდგომარეობა, კერძოდ კი, იმ რაიონის მდგომარეობა, რომლის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი მოსახლეობაა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება რადგან ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტურ კონტროლს ვერ ახორციელებს, ამიტომ მოსახლეობა მიტოვებულია. ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის უფლება არ აქვს. ადმინისტრაციული საზღვარი ჩაკეტილია.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე კორონავირუსის პანდემიის გავრცელების შემთხვევაში რა სიტუაცია შეიქმნება, არავინ იცის. საოკუპაციო რეჟიმის კუდაბზიკობას საზღვარი არ აქვს. ამ სიტუაციაში მძევალი ქართველი მოსახლეობაა. ძირითადად გალის რაიონზეა ლაპარაკი.

– თუმცა, დაავადებული აფხაზები და სომხები რუსეთში მიჰყავთ სამკურნალოდ? შემთხვევები არის და ღონისძიებებს ატარებენ?

– ღმერთმა ნუ ქნას და თუ პანდემია იქნება, მოსახლეობა ისევ ზუგდიდს მოაწყდება. იმედი მაქვს, იმდენი ჭკუა და გონება მაინც აღმოაჩნდებათ, რომ ასეთ სიტუაციაში ადმინისტრაციულ საზღვარს გახსნიან. რამდენიმე დღის წინ, გალის რაიონიდან სამი თვის სიცხიანი ბავშვი გადმოიყვანეს და, საბედნიეროდ, კარგად არის.

მას კორონა ვირუსი არ დაუდგინდა, ბავშვი კარგადაა, მაგრამ როდის რა იფეთქებს და სად იფეთქებს, არავინ იცის. ამიტომ როგორც იქაურს, როგორც ამ პროცესებში მეტ-ნაკლებად ჩახედულს, ვიცი, რომ ქართული მოსახლეობა ძალიან დაუცველია, მათ შორის, ამ თვალსაზრისითაც, რადგან გამკითხავი და პასუხის მომთხოვნი არავინაა.

– ისე, შექმნილი ვითარებით აფხაზი ექიმები შეშფოთებული არიან.

– სოციალურ ქსელში ვნახე აფხაზი ექიმების განგაშის ზარები. აფხაზეთში ელემენტარულ ტრავმატოლოგიურ ოპერაციას ნორმალურად ვერ აკეთებენ. სოხუმიდან გადმოყვანილი პაციენტი მინახავს, ფეხი უკუღმა ჰქონდა მიკერებული. სოხუმელი ექიმები ხვდებიან, თუ სერიოზული პანდემია დაიწყო, უკიდურესად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. არავითარი საშუალებები არ აქვთ, რომ ვირუსს შეებრძოლონ.

– ჯერ მგონი, არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ხო მარ მალავენ?

– კორონავირუსის შემთხვევა აფხაზეთში ოფიციალურად დაფიქსირებული არ არის, როგორც საერთოდ, რუსეთს სჩვევია, მისი პოლიტიკა დახურულია. ოდითგანვე ასე იყო, რაც რუსეთის იმპერია არსებობს. რუსეთის იმპერია სხვა იმპერიებისაგან განსხვავდება. ბრიტანეთის იმპერია სხვანაირი იყო, საფრანგეთის იმპერია – აბსოლუტურად სხვანაირი.

როდესაც სხვა იმპერიები ხვდებოდნენ, რომ თავისი თავი ამოწურეს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მიდიოდნენ. თუმცა, მთლად ნებითაც არ მიდიოდნენ, ცოტა უჯიკავებდნენ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ. როგორს ტოვებდნენ, ყველამ ვიცით. რუსები სადაც მიდიან, იქაურობას აოხრებენ. განსხვავება ეს არის.

ამ სტილში ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზეთში. პირადადაც განვიცდი (ოჯახური თვალსაზრისით) და სახელმწიფოებრივადაც განვიცდი იმის გამო, რაც შეიძლება მოხდეს. ვირუსის ეპიდემია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ღმერთმა გვაშოროს, რადგან რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა ოკუპირებულ აფხაზეთში ინფორმირებულობის თვალსაზრისით დანარჩენ საქართველოსაგან.

– ოკუპირებულ ტერიტორიაზე სოციალური ქსელები არ არსებობს?

– სოციალური ქსელები, რა თქმა უნდა, მუშაობენ, მაგრამ ისე არ არის განვითარებული, როგორც დანარჩენ საქართველოში. თუმცა, ფეისბუქი მაინც არის. „ეხო კავკაზათიც“ გადასცემენ, მაგრამ ძირითადად მაინც ინფორმაციის ნაკლებობაა. ნიორის დადებით რა ინფექცია უნდა შეაჩერო. კორონავირუსი ვერაგი ინფექციაა და ნიორით როგორ უნდა შეაჩერო. აფხაზეთში ყველაფერი დიდწილად არქაულ დონეზეა.

– თუ კორონავირუსი დაფიქსირებული არ არის, გალის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა რატომ გამოცხადდა?

– საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, მიმდებარე ტერიტორიაზე კორონავირუსის გავრცელებას უკავშირებენ. ოფიციალურად ამას არ ამბობენ, მაგრამ არაოფიციალურად, რამდენადაც მე ვიცი, მიმდებარე ტერიტორიაზე ვირუსის გავრცელებას უკავშირებენ.

– არაოფიციალურად არ არის ინფორმაცია, მოსახლეობაში არის თუ არა ვირუსი გავრცელებული?

– არა, ასეთი ინფორმაცია არ არის. ერთადერთი, ჩვილი ბავშვი გადმოიყვანეს ნიშნებით, მაგრამ არ დადასტურდა. რუსეთი, რა თქმა უნდა, მალავს ინფორმაცია. არა მგონია კრემლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მართალი იყოს. თუ ისე მოხდა, რომ რუსეთში კორონავირუსის შემაკავებელი რაღაც აღმოაჩინეს, გამიჩნდება ეჭვი, რომ ვირუსის მთელ მსოფლიოში გავრცელებაში რუსეთის ხელი ურევია.

ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ თუ ამ ვირუსს ვერ გაუმკლავდნენ, მსოფლიო წესრიგი თავდაყირა შეიძლება დადგეს. ეს ე.წ. დასავლეთის ძალიან სერიოზული გამოცდაა. გააჩნი, რუსეთში როგორ განვითარდება მოვლენები. ვირუსმა კრემლშიც შეაღწია.

თუმცა, თუ ვირუსი გაკონტროლებადი იქნება და რაღაც ვაქცინა გამოიგონეს, თუ სასწრაფოდ რაღაც იღონეს, ამაზე სერიოზულად დაეჭვება შეიძლება.

– ამ პრობლემას თუ ვერ მოუარეს, მართლა შეიძლება ევროკავირის დეზინტეგრაცია გამოიწვიოს. იყო მოწოდებები, რომ ევრიოკავშირმა ამ სტუაციაში თავისი როლი უნდა შეასრულოს.

– ჩვენ დასავლურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია იმიტომ გვინდა, რომ თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ. თუ იქ უსაფრთხოების გარანტიები ძალიან მყიფე იქნება, მსოფლიო წესრიგი თავდაყირა დგება .რუსეთთან დაკავშირენით ეჭვი არსებობს, ვნახოთ, რუსეთში როგორ განვითარდება მოვლენები. რუსეთის იმპერია ისედაც სულს ღაფავს.

– რა ნიშნებია იმისა, დასკვნას აკეთებთ, რომ რუსეთის იმპერია სულს ღაფავს?

– რუსეთის იმპერიის გაფართოების მთავარი საშუალება ყოველთვის იარაღი და ენერგომატარებლები იყო. დააკვირდით, რა ხდება ერაყში, რა ხდება ენერგომატარებლებში. იქ ვინც სხედან, ალბათ, ამაზე ძალიან სერიოზულად დაფიქრდნენ. ჩვენ თუ ვაანალიზებთ, ისინიც ხომ აანალიზებენ. მათთვის ძალიან ცუდი რაღაცეები ხდება.

ამაზე რუსი ანალიტიკოსებიც წერდნენ. ამას წინათ ოპოზიციონერი ანალიტიკოსის პიატკოვსკისა და პუტინის მრჩევლის ილარიონოვის ანალიზი ვნახე. ისინი ამბობენ, რომ თუ საქმე ასე წავიდა, რუსეთის იმპერია დაიშლება. ისინი ამას გრძნობენ, ამიტომ ყველაფერზე არიან წამსვლელები.

აფხაზეთის საზოგადოება დადებითად აფასებს გალის რაიონში კომენდანტის საათის შემოღებას

ჩეჩნეთში რესპუბლიკის ხელმძღვანელობა თვითონ არღვევს თავის მიერ დამტკიცებულ ანტიეპიდემიურ ნორმებს

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთს კორონავირუსის საწინააღმდეგოდ საგანგებო მდგომარეობის შემოღება საკმაოდ დააგვიანდა. სამაგიეროდ, ამჟამად ზომები მკაცრდება. გალის რაიონში კი, სადაც უფლებააყრილი ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს, საყოველთაო საგანგებო მდგომარეობას კომენდანტის საათიც დაუმატეს.

კომენდანტის საათი ღამის თორმეტი საათიდან დილის ექვს საათამდე მოქმედებს. ის რაიონის გამგებლის, ომარ ბგანბას განკარგულებით დამტკიცდა.

გალის რაიონის გამგეობაში კომენდანტის საათის მიზეზად ენგურის საოკუპაციო ხაზის, ადგილობრივი ტერმინით კი, „საზღვრის“ დარღვევის ფაქტების გახშირებას ასახელებენ. გამგეობის ინფორმაციით, „საზღვარი“ დაკეტილია. მას აფხაზი ძალოვნები და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მესაზღვრეები იცავენ. ღამის საათებში ენგურის ზედა და ქვედა ზონებში ხდება დარღვევები. ამის აღსაკვეთად შემოღებულია კომენდანტის საათი. ამ პერიოდში იზღუდება მოძრაობა. თუ ადამიანი საკუთარ სახლთან იტრიალებს, მას საბუთებს არ მოსთხოვენ და არ გააჩერებენ, ხოლო თუ ადგილობრივ მცხოვრებს ენგურთან წაასწრებენ, ის ადმინისტრაციული სამართლის დამრღვევად ჩაითვლება და ჯარიმა დაემუქრება.

ხალხში გაჩნდა კითხვა – აქვს თუ არა რაიონის ადმინისტრაციის უფროსს კომენდანტის საათის შემოღების უფლება? ჯერჯერობით, ამაზე პასუხი არ ჩანს.

– გალი სასაზღვრო, განსაკუთრებული, პრობლემური რაიონია და კომენდანტის საათი იქ აუცილებელია, – მიიჩნევენ სხვა რაიონებში მცხოვრებლები.

ზოგიერთი მათგანი გალის გამგებელს, ომარ ბგანბას ისე აქებს, რომ თავისი მოგვარის, ვალერი ბგანბასთვის თანამდებობის გაცვლას სთავაზობს.

ვალერი ბგანბა ე.წ. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციებს მალე ისედაც აღარ შეასრულებს. 23 აპრილს გაიმართება არჩეული ფაქტობრივი პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას ინაუგურაცია და კორონავირუსთან ომში ის „ლეგიტიმურად“ ჩაებმება.

მანამდე ასლან ბჟანია ამ თემაზე ყოველდღიურ ინფორმაციას იღებს. მან ხალხსაც მიმართა და მოუწოდა, უარი თქვან თავყროლობებსა და მასობრივ შეკრებებზე, მათ შორის, რიტუალურ ღონისძიებებზე.

– ყოველი ადამიანის მოვალეობაა, დაიცვას საკუთარი თავი და ახლობლები. თუ პასუხისმგებლობას ყველა გამოიჩენს, ამ რთულ ეტაპს ერის დანაკარგების გარეშე გავივლით, – აღნიშნა ბჟანიამ.

მოსახლეობას კორონავირუსთან ბრძოლის უწყებათაშორისმა შტაბმაც მიმართა.

შტაბმა ხალხს შეახსენა, რომ აკრძალულია ქორწილების, ასევე სამგლოვიარო რიტუალების გამართვა. შტაბის ინფორმაციით, დარღვევა გამოიწვევს იურიდიულ შედეგს და სასიკვდილო

ინფექციის აფეთქებას.

ენგურგამოღმა, რუხში ამოქმედებული სამედიცინო ცენტრი მზადაა პაციენტების მისაღებად საოკუპაციო ზოლის ორივე მხარიდან.

აფხაზეთში არ უყვართ იმის აფიშირება, რომ აფხაზეთში მცხოვრებლები სამედიცინო სერვისების მისაღებად თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიან. კორონავირუსი განსაკუთრებული შემთხვევაა, თუმცა ენგურის აქეთა მხარეს აფხაზების დაიგნოსტირება-მკურნალობის შესაძლებლობაზე საჯაროდ არც ახლა ლაპარაკობენ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის თხოვნით, აფხაზეთში სამკურნალო, დამცავი და სანიტარული საშუალებები ჩაიტანა.

აფხაზეთმა საქართველო-რუსეთის საზღვარი ფსოუზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, 28 მარტიდან ჩაკეტა. მანამდე რესპუბლიკაში უკონტროლოდ მოძრაობდნენ კორონავირუსის ეპიდემიას გამოქცეული ტურისტები რუსეთის ფედერაციიდან.

რუსეთმა რუსეთის მოქალაქეობის არმქონე პირების ფსოუდან თავის ქვეყანაში შესვლა 18 მარტიდან აკრძალა.

აფხაზები, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთში კორონავირუსსაც ვერ უმკურნალებენ.

უცნაური ეპიდემიოლოგიური სიტუაცია შეიქმნა საქართველოს საზღვართან, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. ერთი მხრივ, კადიროვმა იქ მკაცრი ზომები შემოიღო და გამოაცხადა, რომ კორონავირუსით დასნეულებულები სიკვდილს იმსახურებენ, მეორე მხრივ კი, რესპუბლიკის ხელისუფლება თვითონ არღვევს თავის მიერ დამტკიცებულ ნორმებს.

ჩეჩნეთში აკრძალულია ქუჩაში, ასევე ავტომობილში, ტრანსპორტში უნიღბოდ და უხელთათმანოდ მოძრაობა. ამისათვის ჯარიმები მოქმედებს. შემოდის სადღეღამისო კონტროლი იმ პირებზე, რომლებიც შინაკარანტინში იმყოფებიან.

ამავე დროს, ჩეჩნეთის ხელისუფლება არ ერიდება უკვე აკრძალულ მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობას. ასეთი ღონისძიება ამ დღეებში გროზნოში გაიმართა. ხელოვნების სასახლის გახსნის ცერემონიალში ჩეჩნეთის ხელისუფლება და საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ადამიანები ამ ცერემონიალის დროს ერთმანეთს ხელსაც ართმევდნენ და სხვა ნორმებს არღვევდნენ.

სასჯელაღსრულების სისტემის 780 თანამშრომელი ციხეებში იცხოვრებს

ყველა სანოტარო ბიურო იხურება

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, სამინისტრომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და 780 თანაშრომელი შემდეგი კვირების განმავლობაში საპატიმროების შენობებში იცხოვრებს.

როგორც წულუკიანმა გუშინ, 30 მარტს, მთავრობის ადმინისტრაციაში ბრიფინგზე განაცხადა, აღნიშნული გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ საპატიმროებში გარედან ვირუსის შეტანა თავიდან იქნას აცილებული.

– საქართველოს საპატიმროები გადადის მართვის ახალ ეტაპზე. კერძოდ, ჩვენ ის მოდელი შევიმუშავეთ, რაც საპატიმროების სისტემისთვის ჩვეულებრივ დროს არ არის ბუნებრივი. შერჩეული იქნა 780 თანამშრომელი, რომელიც გუშინ გამოცხადდა სამსახურში, საპატიმროების ტერიტორიაზე, სადაც ისინი ჩვეულებრივ დროს მუშაობენ და ისინი მომდევნო კვირების განმავლობაში არ წავლენ შინ.

780 თანამშრომელი იცხოვრებს საპატიმროების შენობებში და ამ ტერიტორიაზე ტერიტორიის დატოვების გარეშე იმისათვის, რომ არც ჩვენ და არც პატიმრებს არ ჰქონდეთ იმის განცდა, რომ გარედან რომელიმე ინსპექტორ-კონტროლიორი მოახდენს ვირუსის შიგნით შეტანას, – განაცხადა წულუკიანმა.

მისივე თქმით, 31 მარტიდან საქართველოში ყველა სანოტარო ბიურო დაიხურება. ამასთან, დაიკეტება ყველა იუსტიციის და საჯარო რეესტრის ფრონტ-ოფისები.

მომდევნო დღეების განმავლობაში გამოქვეყნდება ის ლოკაციები, სადაც შესაძლებელი იქნება სანოტარო მომსახურების მიღება.

– მე, როგორც უწყების ხელმძღვანელს, გამიჩნდა გრძნობა, რომ ზოგიერთი სანოტარო ბიუროს ფუნქციონირება იყო წინააღმდეგობაში იმ რეკომენდაციებთან, რომლებიც გასცა უწყებათაშორისმა საბჭომ. უფრო მეტიც, ბოლო დღეებში მქონდა შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ ნოტარიუსს გაუჭირდა, ფეხი აეწყო საფრთხისთვის, რომლის წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა.

შესაბამისად, დღეს ყველა სანოტარო ბიურო საქართველოში იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით დაიკეტა. დაიკეტება ყველა ფრონტოფისი რეესტრებისა და იუსტიციის სახლებისა, მაგრამ სერვისების გაცემა უნდა გაგრძელდეს, მათ შორის, სანოტარო მომსახურების.

ჩვენ დაგვჭირდება დღევანდელი და ხვალინდელი დღე, რომ შევძლოთ გამოვაქვეყნოთ ის პირობები, რომლებშიც რეესტრები გააგრძელებენ შეძლებისდაგვარად მუშაობას, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისების მიღება, ყველაფრის მიუხედავად, შეძლოთ.

გამოქვეყნდება ის ლოკაციებიც, რა თქმა უნდა, ძალიან შეზღუდული ოდენობით, სადაც შესაძლებელი იქნება სანოტარო მომსახურების მიღება და გამოქვეყნდება სია იმ ფილიალებისა ჩვენი ფრონტოფისების, რომელიც ასევე იქნება შეზღუდული, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ახალქალაქში ჩადენილი ხულიგნობის ფაქტზე დაკავებულ 2 პირს ბრალი წარედგინა

ახალქალაქში მომხდარი ხულიგნობისა და სროლის ფაქტზე დაკავებულ 2 პირს ბრალი წარედგინა.

ბრალდებულებმა ერთ-ერთ კაფე-ბართან ძალადობრივი ქმედებებით და მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღიდან და ხმოვანი პისტოლეტიდან გასროლით საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვიეს.

„პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ გაცემული განჩინებით, ქ.ახალქალაქში მომხდარი ხულიგნობისა და სროლის ფაქტზე დაკავებულ ს.პ.-ს და ა.მ.-ს ბრალი წარედგინათ.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 26 მარტს, დაახლოებით 15:30 საათზე, ქ. ახალქალაქში, თავისუფლებისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე კაფე-ბარ „გოლდთან“ ს.პ.-მ და ა.მ.-მ ძალადობრივი ქმედებებით და ასეთი ქმედების მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღიდან და ხმოვანი პისტოლეტიდან არაერთი გასროლით გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა და უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი.

სამართალდამცველებმა ს.პ. და ა.მ. 28 მარტს დააკავეს. ს.პ.-ს და ა.მ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და იარაღად სხვა საგნის გამოყენებით) წარედგინა.

ს.პ.-ს და ა.მ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდებები, სასჯელის სახედ და ზომად ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულ ს.პ.-ს და ა.მ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“ – ნათქვამია საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პოლიციამ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 131 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგანგებო რეჟიმის მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ოპერატიულად რეაგირებს სამართალდარღვევის ფაქტებზე.

მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 131 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ 104 მოქალაქე დააჯარიმა საჯარო სივრცეში 10-ზე მეტი პირის შეკრების გამო.

13 ფიზიკური და 6 იურიდიული პირი დაჯარიმდა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვების დარღვევის ფაქტზე.

პოლიცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, აქტიურად განაგრძობს თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ მონიტორინგს, რომლის შედეგადაც, თვითიზოლაციის წესების დარღვევის 3 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

გარდა ამისა, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის ფაქტზე პოლიციამ 5 პირი დააჯარიმა, რომლებსაც, აკრძალვის მიუხედავად, მიკროავტობუსით საქალაქთაშორისო მგზავრების გადაყვანას ახორციელებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ზომები.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

განმეორებით საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და ითვალისწინებს 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას.

პოლიცია სამეგრელოში საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში არსებული შეზღუდვების კონტროლს ახორციელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო სამეგრელოში ქვეყანაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებულ შეზღუდვებზე 24-საათიან კონტროლს ახორციელებს.

ზუგდიდისა და ფოთის შესასვლელებში მოეწყო საკონტროლო გამშვები პუნქტები, რომელთა მეშვეობითაც კონტროლდება რეგიონში საავტომობილო გადაადგილება.

საპოლიციო ძალები ახორციელებენ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში არსებული შეზღუდვების მკაცრ კონტროლს, მათ შორის, თვითიზოლაციის წესების დაცვის, ობიექტების მუშაობის, ასევე, საჯარო სივრცეებში 10-ზე მეტი ადამიანის შეკრებისა და სოციალური დისტანციის დაცვის.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ასევე, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი, რომლის დარღვევაც გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ხოლო განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

გურიაში ტოიოტა ოპელს დაეჯახა

22 წლის მამაკაცი დაიღუპა, ოპელი დაიწვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წყალწმინდასთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 22 წლის ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა. ერთმანეთს ტოიოტასა და ოპელის მარკის ავტომობილები შეეჯახნენ, რის შემდეგაც, ოპელის მარკის ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა.

– ადგილზე მისულებს დაგვხვდა ერთი დაზარალებული და ერთი გარდაცვლილი. დაზარალებულს ადგილზე ჩაუტარდა პირველადი დახმარება, მისი მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი და ამიტომ მან უარი განაცხადა ჰოსპიტალიზაციაზე, – განაცხადა სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმმა ქრისტინა დანელიამ.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო დახმარების, სახანძრო-სამაშველო ჯგუფები და საპატრულო პოლიციის ბრიგადები. გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის მე-6 ნაწილით.

თბილისში მანქანა ტრანსგენდერ ქალს დაეჯახა

უბედური შემთხვევა მოხდა თბილისში – ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანა ტრანსგენდერ ქალს დაეჯახა. ქალს რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარდა, მათ შორის, თავის ტვინზე. აქვს მრავლობითი მოტეხილობები. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ტრანსგენდერი ქალები ყვებიან, რომ მსხვერპლი თავდამსხმელებს გამოექცა და ავტოსაგზაო შემთხვევა სწორედ მაშინ მოხდა. თვითმხილველების თქმით, მანქანა, რომელიც ტრანსგენდერ ქალს დაეჯახა, ნელა მოძრაობდა. შსს საქმეს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის დარღვევის მუხლით იძიებს.

შსს საქართველოს მოქალაქეების მონაცემების ჰაკერების საიტზე გავრცელებას სწავლობს

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს მოქალაქეების პირადი მონაცემების ჰაკერების ფორუმზე გავრცელების შესახებ უცხოური მედიის ინფორმაცია ცნობილია.

– ინფორმაცია, რომელიც უცხოურ პრესაში გავრცელდა, ცნობილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის. მიმდინარეობს საკითხის დეტალური შესწავლა და უახლოეს პერიოდში გაკეთდება დამატებითი განმარტებები, – აცხადებენ უწყებაში.

შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთი პორტალის ინფორმაციით, 28 მარტს, ჰაკერების საიტზე ქართველი ამომრჩევლის მონაცემთა ბაზა გამოქვეყნდა, რომელიც მოიცავს პირად მონაცემებს – პირად ნომრებს, ტელეფონის ნომრებს, დაბადების თარიღებს. აღნიშნულ ბაზაში იძებნება მონაცემები გარდაცვლილი მოქალაქეების შესახებაც.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან სასამართლო პროცესების დისტანციურად წარმოება დაიწყო

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 21 მარტის № დეკრეტის აღსრულების მიზნით, მიმდინარე წლის 26 მარტიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების სასამართლო პროცესების დისტანციურად წარმოება.

დროის უმოკლეს პერიოდში, საქართველოს მასშტაბით ყველა იზოლატორში, მოეწყო სივრცეები, რომლებიც სრულად აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით. იზოლატორებიდან პროგრამული ადმინისტრირების კუთხით გადამზადება გაიარეს იზოლატორის თანამშრომლებმა, რომლებსაც განესაზღვრათ სასამართლოებთან დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული კომუნიკაციის დამყარების ფუნქცია-მოვალეობა.

დეკრეტის საფუძველზე შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა იზოლატორებიდან სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარების წესი.

2020 წლის 26-29 მარტს საქართველოს მასშტაბით დისტანციური წესით 38 სასამართლო სხდომა გაიმართა.

ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხის პირობებში, დისტანციური პროცესების ჩატარება, ემსახურება პროცესში მონაწილე პირების უსაფრთხოების დაცვასა და მათი საპროცესო უფლებების შეუფერხებლად რეალიზებას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან სასამართლო პროცესების დისტანციურად წარმოება დაიწყო

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 21 მარტის № დეკრეტის აღსრულების მიზნით, მიმდინარე წლის 26 მარტიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების სასამართლო პროცესების დისტანციურად წარმოება.

დროის უმოკლეს პერიოდში, საქართველოს მასშტაბით ყველა იზოლატორში, მოეწყო სივრცეები, რომლებიც სრულად აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით. იზოლატორებიდან პროგრამული ადმინისტრირების კუთხით გადამზადება გაიარეს იზოლატორის თანამშრომლებმა, რომლებსაც განესაზღვრათ სასამართლოებთან დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული კომუნიკაციის დამყარების ფუნქცია-მოვალეობა.

დეკრეტის საფუძველზე შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა იზოლატორებიდან სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარების წესი.

როგორ შეცვლის კორონავირუსი მსოფლიოს



კორონავირუსი ნელ-ნელა მთელს პლანეტას მოედო და მსოფლიო პრობლემად გადაიქცა. მძიმე მდგომარეობაა იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, აშშ-ში. სირთულეების წინაშეა რუსეთიც.

პლანეტა კორონავირუსის მწვავე ფაზას ადრე თუ გვიან გადაიტანს, მაგრამ რა მოხდება შემდეგ?

ამერიკელი ექსპერტი ჯუდით დამპი წერს, რომ კორონავირუსი მსოფლიო ეკონომიკას უდიდეს ზარალს მიაყენებს. ეს ორი რამითაა განპიროებული. პირველი და უმთავრესი ისაა, რომ ვირუსის მასობრივად გავრცელებამ კარანტინის აუცილებლობა წარმოქმნა. ეს კი წარმოების გაჩერებასთანაა დაკავშირებული. შეწყდა სპორტული შეჯიბრებები, ტურიზმი, რაც მილიარდობით ზარალს ნიშნავს.

– მსოფლიო ეკონომიკამ ისეთი დანაკარგები განიცადა, რომ სწრაფად ვერ გაიმართება წელში, – წერს დამპი.

პუტინის ყოფილი მრჩეველი ანდრეი ილარიონოვი, რომელიც ახლა აშშ-ში ცხოვრობს, წერს, რომ კორონავირუსის უმთავრესი შედეგი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი იქნება.

წარსულის გაკვეთილები გვიჩვენებს, რომ ასეთ დროს უკიდურესი მიმდინარეობები წამოყოფენ თავს. პირველი მსოფლიო ომის დროს ეს რუსული ბოლშევიზმი და გერმანული ნაციზმი იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, სამყარო ორ დაპირისპირებულ ბანაკად დაიყო. ამის შედეგია ცივი ომი, რაც 1991 წელს საბჭოთა იმპერიის დაშლით დასრულდა.

– ახლა გამოიკვეთა რამდენიმე ძალისმიერი ცენტრი, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. პირველი პუტინის რუსთია, მეორე ჩინეთი, მესამე – დემოკრატიული სამყარო, რომლის ლიდერიც კვლავ აშშ იქნება, – თვლის ილარიონოვი.

კორონავირუსი უდავოდ ცუდ გავლენას იქონიებს ევროკავშირზე. გამწვავდება დაპირისპირება ე.წ. გლობალისტებსა და ნაციონალისტებს შორის. თუ ევროკავშირის ლიდერებმა კორონავირუსთან ბრძოლის ერთიანი ტაქტიკის შემუშავება ვერ მოახერხეს, ევროკავშირის შიგნით დაპირისპირება გაიზრდება. პრობლემები ტრანსატლანტიკურ თანამშრომლობასაც შეექმნება.

– ევროპა აშშ-ის, უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტ ტრამპის მოქმედებებით უკმაყოფილებას კარგა ხანია გამოთქვამდა, ახლა ეს ტენდენცია გაძლიერდება, – თვლის ილარიონოვი.

ძალა, რომელიც ევროკავშირს საფრთხეს უქმნის, რუსეთი და ჩინეთია. თუმცა რუსეთის ექსპანსიონიზმზე ძლიერ იმოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ლოკალური ომები, სანქციები, ნავთობზე ფასების ვარდნა და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კრიზისი.

უკვე 2023-25 წლებისთვის რუსეთი დადგება ალტერნატივის წინაშე: ან ლიბერალური რეფორმები (პერესტროიკა-2), ან აგრესიული კურსის გაგრძელება. მეორე ვარიანტი რუსეთის კატასტროფას ნიშნავს. პირველი ვარიანტის შემთხვევაში გადარჩენის შანსები უდავოდ არის, თუმცა რუსეთი ვეღარ იქნება ისეთი ზესახელმწიფო, რომელიც ზეწოლას ახდენს მეზობლებზე და ძალისმიერი გზით მათზე საკუთარი გავლენის გავრცელებას ცდილობს.

21-ე საუკუნეში ორი ზესახელმწიფო იქნება – ამერიკა და ჩინეთი. ამ ორი გიგანტის დაპირისპირებით გადაწყდება, თუ რა ტენდენციები გადანონიან, ავტოკრატიული თუ ლიბერალური.

დათო არჩვაძემ და პეტრე კოლხმა ერთობლივი სიმღერა შექმნეს

მომღერალმა დათო არჩვაძემ და პოეტმა პეტრე კოლხმა ახალი ერთობლივი სიმღერა შექმნეს.

„ჩემი საქართველო“ – ასეთია სიმღერის სახელწოდება, რომელიც დათომ მამა პეტრეს ლექსზე შექმნა.

დათო არჩვაძე:

– „ძარღვში უფლის სისხლი მირევია, ჩემი საქართველო აქ არის“ – ახალ სიმღერას ვუძღვნი ჩვენი ქვეყნის დღევანდელ გმირებს, ვინც ზრუნავს ჩვენს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

პეტრე კოლხი:

– ჩემი და დათო არჩვაძის ახალი ნამუშევარი. ისეთია, სიხარულისგან, ბედნიერებისგან, შენი ერის სიყვარულისგან გულს რომ გაგიხეთქავს.

ჩემი საამაყო დათო. როგორ უფრთხილდები ყოველ ფრაზას, როგორ ფაქიზად ეპყრობი სულიდან ამოძახილ სიტყვებს. როგორ ესათუთები შენს სამშობლოს, ვაზის ჯვარს, უფლის სისხლს.

არ მეშინია, რადგან დილა ასე იმედიანად დაიწყო.

დათო არჩვაძემ ახალი სიმღერა ქართველ ექიმებს მიუძღვნა.

დიახ, ჩემი, თქვენი, ჩვენი საქართველო აქ არის!

დილა უფლისგან გამოჯანმრთელებისა, ჩემო შეშინებულო საქართველო!

რატი ამაღლობელი: „არ გამოვა ქრისტეს ინსტიტუციონალური პრივატიზაცია“

პოეტი რატი ამაღლობელი გვარწმუნებს, რომ ქრისტეს ინსტიტუციონალური პრივატიზაცია არ გამოვა:

– რატომღაც ქრისტე დადგენილი წესჩვეულებები ჰგონიათ, საკუთარ ეგოიზმში და შეჩვეულ კომფორტის ზონაში გაქვავება, რელიგიური გრძნობებით კეკლუცობა და სიჯიუტე, არადა, მან ამ წესების და კანონების გადაფასებითა და დაძლევით დაიწყო საკუთარი ქმედებები იუდეასა და გალილეაში, წინააღმდეგობა იმდენად დიდი შეხვდა მაშინდელი მღვდელმთავრებისგან, სინედრიონი, რომ მისი ჯვარზე მოკვდინების მთავარი „არგუმენტი“ და ბრალდება სწორედ რელიგიური წესების დარღვევა იყო.

ასე რომ, არ გამოვა ქრისტეს ინსტიტუციონალური პრივატიზაცია, ქრისტე, როგორც სიცოცხლისა და სიყვარულის მომნიჭებელი უნივერსალური ძალა, კაცობრიობის ევოლუციაში, მის განვითარებასა და სრულყოფაში მოქმედებს და არა დადგენილი ფორმების, წესებისა და ჩვევების გამყინვარებაში. ეს ისე მაინც, ცნობისათვის.

გაერო: „განვითარებადი ქვეყნები, შესაძლოა, ეკონომიკური კოლაფსის წინაშე აღმოჩნდნენ“

გაეროს განვითარების პროგრამის ინფორმაციით, განვითარებადი ქვეყნები, შესაძლოა, ეკონომიკური კოლაფსის წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან მათ უწევთ შეზღუდული რესურსებით ებრძოლონ კორონავირუსის პანდემიას. ორგანიზაციის თქმით, ამ ქვეყნებმა, შესაძლოა, შემოსავლის სახით 220 მილიარდ დოლარზე მეტი დაკარგონ, ხოლო აფრიკის ქვეყნების მოსახლეობის 50%, შესაძლოა, უმუშევარი დარჩეს.

– მსოფლიოს მასშტაბით პანდემია ძალიან ღრმა, მტკივნეულ ჭრილობებს დატოვებს. ჩვენ სასწრაფოდ უნდა გავამახვილოთ ყურადღება კოვიდ 19-ის ეფექტურ რეაგირებაზე განვითარებად და მოწყვლად ეკონომიკებში, განსაკუთრებით უნდა მივხედოთ ყველაზე დაუცველებს: პატიმრები, მიგრანტები და ლტოლვილები, – აცხადებს გაერო-ს განვითარების პროგრამის ადმინისტრატორი, აჩიმ შტეინერი.

ცოტა ხნის წინ მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განვითარებულ ქვეყნებს მოუწოდა, შეუმსუბუქონ სასესხო ვალდებულებები ღარიბ სახელმწიფოებს.

პრინცი ჩარლზი კორონავირუსისგან გამოჯანმრთელდა

მედიის ინფორმაციით, პრინცი ჩარლზი კორონავირუსისგან გამოჯანმრთელდა და თავს კარგად გრძნობს. ინფორმაციას მისი პრესსპიკერიც ადასტურებს.

„ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, უელსის პრინცი თვითიზოლაციაში აღარ იმყოფება“, – აღნიშნულია განცხადებაში.

პრინცი ჩარლზის ინფიცირების შესახებ ინფორმაცია 25 მარტს გავრცელდა. ის კარანტინში 7 დღის მანძილზე იმყოფებოდა.

ქართველ ოპერის მომღერალს კორონავირუსი დაუდგინდა

ქართველ ოპერის მომღერალს ბექა გოგინაშვილს კორონავირუსი დაუდგინდა და კარანტინშია მოთავსებული. ინფორმაცია ამის შესახებ ხელოვანმა თავად გაავრცელა და განაცხადა, რომ დასამალი არაფერი აქვს:

– მას შემდეგ, რაც დადასტურდა კორონავირუსის არსებობა და ტესტმა პოზიტივი აჩვენა, უამრავი პირადი მესიჯი და ზარი შემომდის. სამწუხაროდ, ყველასთან სათითაოდ პასუხის გაცემა და ახსნა, რომ თავს კარგად ვგრძნობ, უამრავ დროსა და ენერგიას მოითხოვს, რაც კრანტინის პირობებში ყოფნის მიუხედავად, არ მაქვს. თავიდანვე გადავწყვიტე, რომ დასამალი არაფერი მაქვს და პირიქით, რაც მეტ ადამიანს გავუზიარებ საკუთარ გამოცდილებას, მგონია, რომ უფრო ნაკლებად იქნებიან სტრესულ მდგომარეობაში.

ექიმის კონსულტაცია, რაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სატელეფონო ზარით შემოიფარგლა უპრეცედენტო პაციენტების გამო, პირველ რიგში მდგომარეობს შემდეგში, რომ ასაკოვან და ქრონიკულად დაავადებულ ხალხს უნდა მოვერიდოთ. რადგან თავს კარგად ვგრძნობთ, ეს ნიშნავს, რომ ძლიერი იმუნიტეტი გვაქვს და ვერ მოგვერია ვირუსი და კიდევ იმით „გვანუგეშა“, თურმე ნიუ იორკში მცხოვრებთა 80%-ს ელიან, რომ დაავადდება უახლოეს კვირებში, ჩვენს ჯანმრთელობას ასაკისა და ძლიერი იმუნიტეტის გამო სერიოზული ზიანი არ ემუქრება.

კიდევ ერთხელ ყველას გულწრფელ მადლობას გადაგიხდით გამოჩენილი ყურადღებისა და სიყვარულისთვის. კიდევ და კიდევ გავიმეორებ, რომ ჩვენ არ გვეშინია ერთუჯრედიანი ვირუსის. ადამიანი ცხოვრობს ერთხელ და ნამდვილად არაა სასურველი მთელი სიცოცხლის შიშის ქვეშ გატარება. რა თქმა უნდა, ჰიგიენური ნორმების დაცვა ეს ბუნებრივი პროცესია, თუმცა განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობ ძლიერად თავს, როცა ვიცი, რომ ჩემი ცხოვრება უფლის ერთ სიტყვაზეა დამოკიდებული და არა რომელიმე ერთუჯრედიან ვირუსზე.

გისურვებთ ჯანმრთელობას და მინდა ყველას ერთად გვჯეროდეს, უფლის ნებით მალე ყველაფერი კარგად იქნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ზელენსკი: „უკრაინას დეფოლტი ემუქრება!“

როგორც ცნობილია, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ უკრაინას 10-მილიარდიანი ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს. მაგიერში ფონდმა საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა. პირველი ეს მიწის გაყიდვაა. მეორე – საბანკო რეფორმა.

– აღნიშნული კანონები ზოგიერთი ოლიგარქის, მათ შორის კოლომოისკის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ისიც ყველაფერს აკეთებს, რათა ეს კანონები ჩავარდეს, – იტყობინება ტელეარხი უკრაინა.

პრეზიდენტმა ზელენსკიმ თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ რადაში საკმარისი ხმების მოძიებაზე პრობლემებია და დეპუტატებს მეტი პასუხისმგებლობისაკენ მუწოდა.

– თუ ამ ორ კანონპროექტს არ მიიღებენ, უკრაინას დეფოლტი ემუქრება! – ამბობს ზელენსკი.

უკრაინისათვის კორონავირუსიც მწავე პრობლემად რჩება. თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, ინფიცირებულთა რაოდენობამ 480-ს მიაღწია. გარდაცვლილია 9 ადამიანი. გამოჯანმრთელდა 6.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეზობელმა თვითიზოლაციის წესების დაურღვევლად მეზობლისთვის ლუდის მიწოდების ხერხს მიაგნო

ამერიკის ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკიში მეზობლებმა მიაგნეს საშუალებას, რომლის გამოყენებითაც თვითიზოლაციის პირობებში ერთმანეთისთვის ლუდის გაგზავნა მოახერხეს.

ერიკ ტშჩინსკის გაახსენდა, რომ მას რადიომართვადი სათამაშო ავტომობილი ჰქონდა. მან გადაწყვიტა, რომ მისი დახმარებით მეზობლად მცხოვრები მეგობრისთვის შეიძლებოდა ლუდის ისე გაგზავნა, რომ პირადი კონტაქტისთვის თავი აერიდებინა. ამისთვის მან სათამაშოს მილისგან დამზადებული „საბარგული“ დაამაგრა. ტშჩინსკიმ მასში ლუდის ბოთლი ჩადგა, შემდეგ კი ტევორ რეინკის დაურეკა, რომელიც ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა და გზავნილის თაობაზე გააფრთხილა.

მისივე თხოვნით, რეინკმა აიღო ტელეფონი და ვიდეოზე გადაიღო „ფორმულა ა“-ს პატარა სათამაშო მანქანა, რომელიც მეგობრის ავტოფარეხიდან გამოვიდა, მშვიდობიანად გადმოკვეთა მანქანების სავალი გზა და ბოთლით ლუდი მიუტანა. ამის ნახვისას მან თავი ვერ შეიკავა და გაეცინა.

კ.ხ.

შიშველმა გოგონამ დაცარიელებულ ქუჩებში ფოტოსესია მოიწყო

ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში გოგონამ იმით ისარგებლა, რომ ქალაქის ქუჩები გამოცხადებული კარანტინის გამო დაცარიელდა და უოლ-სტრიტზე აღმართული ხარის ქანდაკებაზე შიშველ მდგომარეობაში ამხედრებულმა გადაიღო ფოტოსურათები.

ქერათმიანმა გოგონამ ყურად არ იღო არც ერთი რეკომენდაცია, რომელიც კორონავირუსის ინფექციასთან იყო დაკავშირებული, გაშიშვლდა და ნიუ-იორკის ფინანსურ კვარტალში აღმართულ ხარის ქანდაკებაზე აძვრა. მისი მეგობარი გოგონა კი ფოტოსურათებს მობილური ტელეფონით იღებდა. მას შემდეგ კი, როდესაც გოგონებმა სხვა ფოტოგრაფი შენიშნეს, ისინი სასწრაფოდ მიიმალნენ.

კ.ხ.

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

30 წლის წინ

როგორ იწყებოდა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი

1990 წლის 30 მარტი იდგა, საქართველოს პირველი ჩემპიონატის გახსნის მატჩი რომ გაიმართა.

ერთმანეთის პირისპირ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი თბილისის იბერია (მანამდე და შემდგომში ისევ დინამო) ფოთის კოლხეთს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დაუხვდა. იმ ქალაქის გუნდს, საიდანაც საქართველოში ფეხბურთი შემოვიდა!

გაგიკვირდებათ და იმ დროისთვის 75.000-იან სტადიონზე ანშლაგი იყო. ისტორიული მატჩის დაწყებამდე მაყურებელს ჯერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიმართა და დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი დალოცა, შემდეგ – ეროვნული მოძრაობის იმდროინდელმა ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ.

გამოცხადდა გუნდების შემადგენლობა:

იბერია: ხაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, გოგიჩაიშვილი, ქეცბაია, ცაავა, რევიშვილი, გურული, კაჭარავა

კოლხეთი 1913: გვასალია, კურგენიანი, ქაჯაია, გიგატაძე, გიორგაძე, შამათავა, თოფურია, თვარაძე, ავრამიდისი, ჯუღელი, დ.მახარაძე

გაისმა „დიდება“, აღიმართა შინდისფერი დროშა და მევლუდ მიმინოშვილმა მატჩის დაწყების ნიშანიც მისცა და ბურთი თამაშში უმცროსმა ვიტალი დარასელიამ (რომელიც მაშინ 11 წლის იყო) შეიყვანა.

პატარა ვიტალის მატჩის შემდეგ ფულადი ჯილდოც გადასცეს. რატომ? დაწესებული იყო პრიზი, რომელიც იმ ფეხბურთელს გადაეცემოდა, ვინც ეროვნულ ჩემპიონატში პირველ გოლს გაიტანდა. მატჩამდე ერთმა კარგმა ადამიანმა იხუმრა, საკუთარ კარში რომ გაიტანოს ვინმემ, მაშინ რა ხდებაო? ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი – გელა კეტაშვილმა მართლაც საკუთარ კარში შეაგდო და, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, პრიზიც ვიტალი-უმცროსს გადასცეს.

იბერიას კარგი გუნდი ჰყავდა – საბჭოურ უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. კოლხეთი იმავე პირველობაზე მე-2 ლიგის მე-9 ზონაში ასპარეზობდა. კლასში სხვაობა თითქოს დიდი იყო და იბერიასაც იოლად უნდა მოეგო, მაგრამ...

როგორც გითხარით, კეტაშვილმა ავტოგოლი გაიტანა, რაც ამ შეხვედრაში ერთადერთი გამოდგა და მატჩის საბოლოო შედეგი ყველამ დიდ სენსაციად მიიღო. რატომაც არ მიიღებდნენ: ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო, კახა ცხადაძე, თემურ ქეცბაია და ზაზა რევიშვილი – ახალგაზრდული ნაკრების.

მიუხედავად ამისა, კოლხეთმა მოიგო.

მას შემდეგ ბევრი ამბობს, რომ ქართული ფეხბურთი უკუღმა დაიწყო.

„ვერ შევთანხმდით, რამდენით უნდა შემცირებულიყო ფეხბურთელების ხელფასები“

ლევან კორღალიძე ლოკომოტივიდან წავიდა

კორონავირუსის ეპიდემიით გაჩერებულ ეროვნულ ჩემპიონატში გუნდს მწვრთნელი შეეცვალა. ამასთან, თანამდებობა დატოვა იმ გუნდის თავკაცმა, რომელიც სატურნირო ცხრილის სათავეშია. თბილისის ლოკომოტივს ლევან კორღალიძის ნაცვლად სოსო ფრუიძე გაწვრთნის. ახალ მწვრთნელთა ხელშეკრულება წლის ბოლომდე გაფორმდა.

ფრუიძე ქართულ ფეხბურთში საკმაოდ ცნობილი მწვრთნელია. მისი სამწვრთნელო კარიერა 1994 წლიდან დაიწყო. ყველაზე დიდი დრო კი ფრუიძემ საჩხერის ჩიხურაში გაატარა, სადაც 2008 წლიდან მუშაობდა, პატარა ქალაქისა და მცირე ფინანსური შესაძლებლობების გუნდს რამდენიმე ტიტული და ევროტურნირების საგზური მოუტანა. ფრუიძემ იმერული კლუბი მიმდინარე სეზონის დაწყებამდე დატოვა.

რაც შეეხება კორღალიძის წასვლას: ლევანმა ლოკომოტივი 2019 წლის აპრილში ჩაიბარა. გასულ სეზონში გუნდი მე-4 ადგილზე გაიყვანა და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. ცოტა დააკლდა ტიტულამდეც – ლოკომ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალი საბურთალოსთან წააგო.

ლოკომ ეს სეზონიც მშვენივრად დაიწყო. ლოკომოტივი ერთადერთი გუნდია, რომელმაც საწყის 2 ტურში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა და 6 ქულით ცხრილის სათავეშია.

აბა რა უნდა ყოფილიყო მწვრთნელის წასვლის მიზეზი? საქმე ის არის, რომ ფიფას რეგულაციების თანახმად, კლუბებს უფლება აქვთ ხელფასები შეამცირონ. ქართული კლუბებიც ამ გზას დაადგნენ და ხელფასები 50%-ით შეამცირეს. ლოკომოტივმა ეს ზღვარი 70%-მდე აწია და კორღალიძის წასვლის მიზეზი ეს გახდა.

ლევან კორღალიძე:

– საუბარი არ იყო ჩემს ხელფასზე. ვერ შევთანხმდით, რამდენი პროცენტით უნდა შეემცირებინათ ანაზღაურება ფეხბურთელებისთვის. ყოველთვის ჩემი ფეხბურთელების გვერდით დავდგები. ჩემს პრინციპს და ღირებულებას არავის გამო ვუღალატებ, რადგან, რასაც ვაკეთებ, ჩემთვის ყოველთვის ფასეულია. პირადად მზად ვიყავი, კონტრაქტის ბოლომდე ჩემი ხელფასის დიდი ნაწილი დამეთმო, მაგრამ ამ შემთხვევაში გუნდი დავტოვე იმის გამო, რომ გუნდს ვერ შევუთანხმდი მოთამაშეების ანაზღაურებაზე. არ იყო მისაღები ჩემთვის მათ მიერ წარმოდგენილი გეგმა.

მესი: „ბარსელონას ფეხბურთელები ხელფასების 70%-იან შემცირებას დავთანხმდით“

ბარსელონას ხელმძღვანელობას სურდა, კორონავირუსით გამოწვეული ფინანსური კრიზისის აღმოსაფხვრელად, ფეხბურთელების ხელფასები 70%-ით შეემცირებინა. ამას გარდა, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მოთამაშეები ამ ცვლილების წინააღმდეგნი იყვნენ.

საბოლოოდ, „ბლაუგრანას“ კაპიტანმა, ლიონელ მესიმ პირად სოციალურ გვერდზე გამოაქვეყნა წერილი, სადაც ადასტურებს, რომ ყველა ფეხბურთელი ხელფასების დაკლებისთვის მზადაა. ამის შემდეგ, ზუსტად იგივე ტექსტი სოციალურ ქსელებში სხვა ფეხბურთელებმაც გამოაქვეყნეს.

ლეო მესი:

– ხელფასების შემცირებასთან დაკავშირებით პირველი გუნდის დამოკიდებულების შესახებ ბევრი დაიწერა. უპირველეს ყოვლისა, დაქვითვაზე ყოველთვის თანახმა ვიყავით, რადგან ამჟამინდელ გამონაკლის სიტუაციას სავსებით ვაანალიზებთ.

ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებიც კლუბის ნებისმიერ თხოვნას პირველები შეასრულებენ. ბევრჯერ იგივე საკუთარი ინიციატივითაც გაგვიკეთებია. შეთანხმების დაანონსება რამდენიმე დღით შეფერხდა, რადგან რთულ ვითარებაში ჩავარდნილი ბარსელონას დასახმარებელ გზებს ვეძებდით. ახლა კი დროა დავაანონსოთ, რომ ხელფასების 70%-ით შემცირების გარდა, მზად ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ, რომ ბარსაში მომუშავე პერსონალმა თახნა 100%-ით მიიღოს. იმედია, ახლანდელ მდგომარეობას თავს მალე დავაღწევთ და ამას ყველა ერთად გავაკეთებთ.

უიმბლდონი არ ჩატარდება

უიმბლდონის წლევანდელი გათამაშების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

წლევანდელი უიმბლდონი 29 ივნისიდან 12 ივლისამდე პერიოდში იყო დაგეგმილი, თუმცა, მსოფლიოს მოდებულმა კორონავირუსმა ტურნირის ორგანიზატორთა გეგმებში ცვლილებები შეიტანა.

საჩოგბურთო შეჯიბრებები 7 ივნისამდეა გაუქმებული, თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნორმალური სპორტული ცხოვრება ვერც აღნიშნულ დროს დაიწყება.



უიმბლდონი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ტურნირია მსოფლიოში და 1877 წლიდან ტარდება. ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირი არასდროს გაუქმებულა, თუ მე-2 მსოფლიო ომის პერიოდს არ ჩავთვლით და ეს 1940-45 წლებში მოხდა.

ორგანიზატორებს ფინანსური დანაკარგები არ ემუქრება, რადგან უიმბლდონი პანდემიაზე დაზღვეული გახლდათ.

ნბა სეზონს აუცილებლად დაასრულებს

ნბა უკვე მუშაობს გეგმაზე, რომელიც სეზონის დასრულებას ეხება. ორგანიზაციის შეფი ბრაიან უინდჰორსტი თვლის, რომ ლიგა ჩინური მოდელის გამოყენებას გეგმავს.

ჩინეთში ყველა გუნდი ერთ ცენტრალიზებულ ლოკაციაზეა შეკრებილი, ცხოვრობენ ერთადერთ სასტუმროში და სხვა ადამიანებთან არანაირი კონტაქტი არ აქვთ, ისინი გარესამყაროს სრულიად მოწყვეტილები არიან.

ნბა მსგავსი მეთოდის გამოყენებას გეგმავს – ყველა გუნდი ერთ დარბაზში ითამაშებს და სეზონი ასე მჭიდრო ვადებში დასრულდება. ასეთ ლოკაციად პირველ რიგში ლას ვეგასს, შემდეგ ბაჰამის კუნძულებსა და ჩრდილოდასავლეთში მდებარე კოლეჯის კორპუსს თვლიან. ამ ადგილებში კორონავირუსის შემთხვევები ყველაზე მცირე რაოდენობითაა დაფიქსირებული.

მოამზადა მანუელ ყორყოლიანმა

ტოკიოს ოლიმპიადა 2021 წლის 23 ივლისს გაიხსნება

როგორც ცნობილია, კორონავირუსის პანდემიამ ოლიმპიადის 2020 წელს ჩატარება შეუძლებელი გახადა და 2021 წლისთვის გადადო. ამ ეტაპისთვის გაირკვა, რომ ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნა 2021 წლის 23 ივლისს დაიგეგმა, ხოლო პარაოლიმპიური თამაშების – 2021 წლის 24 აგვისტოს.

თამაშების დაწყების ახალი თარიღები ტოკიო 2020-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა იოშირო მორიმ ოფიციალურად გამოაცხადა. შესაბამისად, ოლიმპიადა იმავე წლის 8 აგვისტოს დასრულდება, პარაოლიმპიური თამაშები – 5 სექტემბერს.

მხარეებს შორის შეთანხმება მოხდა სატელეფონო კონფერენციით, რომელშიც მონაწილეობდნენ სოკ-ის პრეზიდენტი თომას ბახი, ტოკიო 2020-ის პრეზიდენტი იოშირო მორი, ტოკიოს გუბერნატორი კოიკე იურიკო და ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების მინისტრი ჰაშიმოტო სეიკო.

ქალის მკვლელმა ციხიდან გამოსვლის შემდეგ მისი ქალიშვილი მოკლა

ამერიკის არკანზასის შტატში ბოროტმოქმედმა, რომელმაც ციხეში 22 წელი გაატარა ქალის მკვლელობის გამო, საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ მისი ქალიშვილი მოკლა.

შერიფის თანაშემწეები მარტა მაკეის სახლში მას შემდეგ მივიდნენ, როდესაც სიგნალიზაცია ამუშავდა. მათი ადგილზე მისვლის დროისთვის სახლის პატრონი უკვე მკვდარი იყო. სახლის დათვალიერების დროს პოლიციელებმა მკვლელი შენიშნეს, რომელიც მეორე სართულზე იმალებოდა. ის ფანჯრიდან გადახტა, მიირბინა ავტომობილთან და შეეცადა მისი დახმარებით ეზო გადაეჭრა. როდესაც მანქანა გაიჭედა, ბოროტმოქმედი ტბაში გადახტა, პოლიციელების თვალწინ წყალში ჩაიძირა და დაიხრჩო.

დამნაშავის ცხედარი იპოვეს და მისი ვინაობა დაადგინეს. მკვლელობა ტრევის ლიუისმა ჩაიდინა, რომელმაც 1996 წელს მარტას ბიძაშვილი, ცნობილი მემფისელი ბიზნესმენი ლი ბეიკერი და მისი დედა სალი სნოუდენ-მაკეი მოკლა, რომლებიც მას თავზე დაადგნენ ძარცვის დროს. სასამართლოზე ლიუისმა, რომელიც იმ დროს 16 წლის იყო, დანაშაული აღიარა. მან ციხეში 22 წელი გაატარა და 2018 წელს ვადაზე ადრე განთავისუფლდა საპატიმროდან.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 2. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 3. ქართული ლუდი; 5. გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 6. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 8. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 10. ფარული ხრიკები, საძრახისი მოქმედება რაიმე მიზნის მისაღწევად; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. მონასტერი ახმეტის რაიონში; 15. მწვავე დაცინვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 16. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში.

თარაზულად: 1. პირველი შვილი; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ისლანდიის პარლამენტი; 7. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 9. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; 11. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. დარტყმა კრივში; 13. გერმანელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 17. მოხდენილობა, სინარნარე მოძრაობაში; 18. კომბინაცია პოკერში. 19. პროფესიონალი შანტაჟისტი, მაბეზღარა, დამსმენი ძველ საბერძნეთში; 20. ორ ენაზე შედგენილი ტექსტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პომპეო; 2. საცივი; 3. მასკი; 5. კები; 6. სუძუკი; 8. სტამპა; 11. შავლაყაძე; 13. ამანათი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. იორი.

თარაზულად: 1. პალიასტომი; 4. პანკისი; 7. მატრიცა; 9. კანტონი; 10. ფშავი; 12. სემაფორი; 16. გაბრიაძე; 17. ბალანსი; 18. პრევენცია; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყაჭი; 2. ბრიხი; 3. ტრიოდი; 5. ელესა; 6. ტრიგლიტი; 8. ბუნდესტაგი; 10. ოტიატრი; 12. ტანდემი; 14. ოკრიბა; 15. ჰაშიში; 16. ოკაპი.

თარაზულად: 1. ყოჩები; 4. კეტგუტი; 7. ტვისტი; 9. დივანი; 11. ონაგატა; 12. ტრავიატა; 13. მადონა; 17. ტეკილა; 18. რაჭა; 19. ხმელნიცკი; 20. უილიამსი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2896

ევრო — 3.6232

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 4.0330

100 რუსული რუბლი — 4.2168

ამინდის პროგნოზი 31 მარტისთვის

ნუცა ბუზალაძემ რუსული შოუს ქიური ატირა

მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ გადაცემის „ა ნუკა ვსე ვმესტე“ ფინალში ყიურის წევრები ატირა. მან 100 ქულიდან 100 ქულა დაიმსახურა. ვიდეოჩანაწერი ნუცამ თავად გაავრცელა:

– ესეც ფინალი! ჩემო საყვარელო ქართველებო, ამ ნერვიულობის და პანიკის ფონზე, იმედი მაქვს, რომ ჩემი გამოსვლა გაგაბედნიერებთ და გაგახარებთ. მიყვარხართ!

ყველა ჩემი გამოსვლა, არ აქვს მნიშვნელობა სად, ყოველთვის გეძღვნებათ თქვენ! ვამაყობ, რომ ქართველი ვარ!

ნატო გელაშვილი გაჭირვებულებს 200-ლარიან ვაუჩერებს გადასცემს

მომღერალმა ნატო გელაშვილმა გადაწყვიტა, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ოდნავ შემსუბუქებაში თავადაც მიიღოს მონაწილეობა და სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს 200-ლარიან ვაუჩერებს გადასცემს:

– მე, როგორც ამ ქვეყნის შვილმა და ერთ-ერთმა თქვენთაგანმა, მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნისა და ხალხის თავზე მოვლენილი განსაცდელის დასათმენად და სახლში დარჩენილ 10 სოციალურად დაუცველ და 5 მრავალშვილიან თითოეულ ოჯახს ნატო გელაშვილის საქველმოქმედო ფონდიდან გამოეყოს 200-ლარიანი ვაუჩერი.

უფალმა გამძლეობა მოგვცეს ყველას. დავუდგეთ ერთმანეთს გვერდით. მიყვარხართ და მინდა ჩემმა ხალხმა მალე დაძლიოს ეს მოვლენილი განსაცდელი და გაბრწყინდეს და აღორძინდეს მარიამ ღვთიშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყანა.

გთხოვთ გვაცნობოთ იმ სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ინფორმაციები საჯაროდ, რომლებიც საჭიროებენ ამ ღრმა კრიზისში გადაუდებელ დახმარებას: სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ანგარიშის ნომერი. აუცილებელია ვიდეო მასალა, რომელიც დაადასტურებს დასახმარებელი ოჯახების მდგომარეობას.

უფალს ვებარებოდეთ. ყველაფერი კარგად იქნება!

ნინო ბაშარული ფარმაცევტულ კომპანიებს აკრიტიკებს

მომღერალი ნინო ბაშარული ფარმაცევტულ კომპანიებს აკრიტიკებს და მათ ნაძირალებს უწოდებს:

– ავერსის, პსპ-ს, ჯპს-ს და დანარჩენ ფარმაცევტულ კომპანიებს მივმართავ!

ძალიან დიდ უზნეობას იჩენთ, როცა ფასს უმატებთ მედიკამენტებს მაშინ, როცა პირიქით, ხალხის გასაჭირი და უმუშევრობა უნდა გაითვალისწინოთ და დააკლოთ ფასები! თქვენს ხელმძღვანელობას გადაეცით ჩემგან, რომ ნაძირალები არიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

31 მარტისთვის

ვერძი – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი არ აგცდებათ. **კურო** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. რისკი გაუმართლებელია. **ტყუპები** – ერიდეთ კონფლიქტს პირად ცხოვრებაში. დღეს დამთმობი და დიდსულოვანი უნდა იყოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ გადადოთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **ლომი** – ის საქმე, რომელიც ადრე რთული გეჩვენებოდათ, დღეს ძალზე გაგიიოლდებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მიიღეთ ბევრი ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** – საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შელახვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ღრიანკალი** – ბიზნესის სფეროში მომუშავეებისთვის იღბლიანი პერიოდია. სწორი გადაწყვეტილების მიღებაში თანამოაზრეები დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. არასაჭირო შენაძენისგან თავი შეიკავეთ. იყავით მიზანდასახული და დამოუკიდებელი. **თხის რქა** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს ელოდეთ. **მერწყული** – თამამად და პრინციპულად იმოქმედეთ. არაკეთილისმსურველებს მხოლოდ ასე განაიარაღებთ. **თევზები** – სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. საყიდლებზე წასვლა, ფულის დაბანდება სამომავლოდ გადადეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

სამშობიაროს ექთანმა მამაკაცს სამი ტყუპი ბავშვი გამოუყვანა და ეუბნება:

– ხომ კარგები არიან?

– კი! – უპასუხა ნირწამხდარმა კაცმა და ბავშვები მანქანისკენ წაიყვანა.

– მაგათ რომ ჩააწყობ. მობრუნდით, კიდევ სამი მყავს გადმოსაცემი.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ტელეფონზე ესაუბრება და ეუბნება:

– კარანტინის მეათე დღეს ჩემმა ძაღლმა მითხრა, რომ ნიცშეს სერიოზულ ფილოსოფოსად არასოდეს თვლიდა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– კორონავირუსისგან დაღუპვის არ გეშინია?

– კრედიტი მაქვს აღებული, ასე რომ, თავს მშვიდად ვგრძნობ...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს უხსნის:

– კარანტინის დროს გარეთ გასვლა მხოლოდ აფთიაქსა და პროდუქტების მაღაზიაში წასასვლელად შეიძლება.

– გამოდის, რომ პენსიონერებისთვის არაფერი შეცვლილა.

●●●

ნათესავი გიგის ეკითხება:

– როგორ იმშვიდებ თავს ამდენი უარყოფითი ინფორმაციის შემდეგ.

– როგორც კი საინფორმაციო გადაცემა სრულდება, დასამშვიდებლად საშინელებათა ფილმებს ვუყურებ.

●●●

ხელისუფლების წარმომადგენელი პრესისთვის გამართულ ბრიფინგზე აცხადებს:

– ჩვენ ტესტების დიდი პარტია შევისყიდეთ!

– კი მაგრამ, ეგ ხომ ფეხმძიმობის ტესტებია! – შეეპასუხა ერთ-ერთი ჟურნალისტი.

– სხვა აღარ იყო...

●●●

პატარა გოგონა მამას ეუბნება:

– მამიკო, მე ვიცი, რატომ ამბობდა ბაბა-იაგა, რომ რუსის სუნს წინასწარ გრძნობს!

– და რატომ?

– იმიტომ, რომ წიგნში წერია, უფლისწული ივანე როდესაც მგზავრობდა, გზაში ექვსი წყვილი ფეხსაცმელი შემოაცვდა და არსად წერია, რომ ის წინდებს იცვლიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იურგენ კლოპი: „ოპტიმალური ფორმის შენარჩუნება გაგვიჭირდება“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ იძულებითი შესვენების დროს ფეხბურთელებს ოპტიმალურ ფორმაში ყოფნა გაუჭირდებათ, რადგან ვარჯიშები არ მიმდინარეობს და ეს ავტომატურად იწვევს ფორმიდან ამოვარდნას:

– როდესაც ასეთ პრობლემებზე ფიქრობ, ფეხბურთზე კონცენტრირება რთულია და ეს იწვევს ფორმიდან ამოვარდნას, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რომ, როდესაც ფეხბურთი დაბრუნდება, მალე აღვიდგინოთ კონდიციები.

კორონავირუსის გამო საფეხბურთო სეზონი პრემიერ ლიგაში 30 აპრილამდე შეჩერდა.

ანტუან გრიზმანი: „ფეხბურთი ძალიან მენატრება“

ბარსელონას ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა განაცხადა, რომ მას ფეხბურთი ძალიან ენატრება და კარანტინის დროს ის მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობს.

გრიზმანის თქმით, საჭიროა, რომ ყველამ დაიცვას თვითიზოლაციის წესები, რადგან საფრთხე რეალურია:

– იძულებულები ვართ, რომ კარანტინში ვიყოთ და მე პირადად ეს არ მომწონს, მაგრამ მესმის, რომ ასეთი რამ აუცილებელია. ფეხბურთი ძალიან მენატრება და მის გარეშე ჩემთვის საკმაოდ რთულია ცხოვრება. იმედი მაქვს, მალე ყველაფერი კარგად იქნება.

უეფა ჩემპიონატების დასრულებას აგვისტოში გეგმავს

უეფამ ევროპის ჩემპიონატების დასრულების რამდენიმე გეგმა შეიმუშავა. ყველაზე რეალურია, რომ ჩემპიონატები ივნისში განახლდეს და აგვისტოში დასრულდეს. ჯერჯერობით უეფაში მოლაპარაკებები მიმდინარეობს და რამდენიმე დღეში ის საგანგებო სხდომას გამართავს. კორონავირუსის გამო ევროპის ყველა ჩემპიონატი გაჩერებულია, გარდა ბელორუსიისა, სადაც კვლავინდებურად თამაშობენ და ვირუსის არ ეშინიათ.

მოამზადა ბექა გოგანაშვილმა

მალაიზიის უზენაესი მმართველი მეუღლესთან ერთად კარანტინში იმყოფება

მალაიზიის უზენაესი მმართველი სულთანი აბდულა რიიატუდინ ალ-მუსტაფა და მისი მეუღლე აზიზა ამინა მაიმუნა ისკანდერია კარანტინში იმყოფებიან და კორონავირუსზე ანალიზები ჩააბარეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს. მონარქი მას შემდეგ გახდა იძულებული ეს ნაბიჯი გადაედგა, როდესაც კორონავირუსით მისი სასახლის შვიდი მოსამსახურე დაინფიცირდა. ის თვითიზოლაციაში მეუღლესთან ერთად იმყოფება. სასახლის მთავარმა ინსპექტორმა ახლად ფადილ შამსუდინმა განაცხადა, რომ სულთანის და მისი მეუღლის ტესტები კორონავირუსზე უარყოფითი აღმოჩნდა.

ტრამპმა პრინცს ჰარისა და მეგან მარკლის უფასოდ დაცვაზე უარი განაცხადა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის პრინც ჰარის და მისი მეუღლის მეგან მარკლის უსაფრთხოების დაცვის დაფინანსებას არ აპირებს. ამის შესახებ ქვეყნის ლიდერმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე დაწერა.

– მე დედოფალ ელისაბედ II-ს და მთლიანად დიდი ბრიტანეთის დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელი ვარ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჰარი და მეგანი კანადაში იცხოვრებდნენ. ახლა ისინი კანადიდან აშშ-ში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. აშშ არ აპირებს მათი უსაფრხოების დაცვის უზრუნველყოფაში ფულის გადახდას. მათ თავად მოუწევთ ფულის გადახდა, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

შეგახსენებთ, რომ პრინცი ჰარი და მისი მეუღლე მეგან მარკლი კანადიდან ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესში კორონავირუსის ეპიდემიის გამო საზღვრების ჩაკეტვის წინ ჩაფრინდნენ და წყვილი ქალაქის ერთ-ერთ რაიონში დაბინავებას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯვროსვოხდი ა



შვეულად: 1. ამერიკული ჯიპი; 2. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის სხვაობა; 5. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 6. მუსლიმთა ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 8. წვრილი წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვანი მცენარეების საერთო სახელწოდება; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 14. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში; 15. მონასტერი ქსნის ხეობაში; 19. გარეული ღორი.

თარაზულად: 1. ბეჰემოტის მეორე სახელწოდება; 4. რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი იტალიელი მეცნიერი; 7. კოლუმბიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. მეთოთხმეტე საუკუნის გლეხთა აჯანყების სახელწოდება საფრანგეთში; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. ქართველ მწერალ დესპინე გელოვანის ლიტერატურული ფსევდონიმი; 17. აეროპორტი ოსლოში; 18. პროფესიონალი დამსმენის, ჯაშუშის, შანტაჟისტის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 20. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 21. საქონლის სუფთა წონა შეუფუთავად; 22. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა